პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1937 წ. ივლისი
პარიზი
№ 73
1937 — JUILLET
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

საბჭოთა რუსეთში

წითელი ჯარის რვა გენერლის დახვრეტამ მოსკოვის ხელისუფლების მიერ ევროპის საზოგადოებრივ წრეების დიდი გაკვირვება გამოიწვია.

საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა საგარეო ფრონტზე მეტათ არამკვიდრი და გაურკვეველია. მოსკოვი დილიდან საღამომდე მუდამ იმას გაიძახის, რომ მას ბევრი მხრიდან ემუქრებიან და მასზე თავდასასხმელათ ემზადებიან. ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რუსეთის მიერ დიდი დიპლომატიური მუშაობა იყო გაწეული დასავლეთის ერთ სახელმწიფოსთან სამხედრო კავშირის შესაკვრელათ. და აი ასეთ პირობებში კრემლის დიქტატორის ბრძანებით სასწრაფოთ, დახურულ კარებში გასამართლებით, დამცველების, თუ პრესის წარმომადგენლების დაუსწრებლათ წითელი ჯარის 8 საუკეთესო და გამოჩენილ გენერლებისადმი სიკვდილის განაჩენი გამოაქვთ და ეს განაჩენი 24 საათის განმავლობაში სისრულეში მოყავთ. ცხადია, ამ აქტით წითელი ჯარის დემორალიზაცია და სისუსტე თვალსაჩინო ხდება, გარეთ კი ყველაფერი ეს მოსკოვის წინააღმდეგ მეტათ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და წითელი ჯარის პრესტიჟს დიდათ სცემს.

სტალინის ასეთ მოქმედებას ბევრნი მის ფსიხიურ ანორმალობას აწერს. რომ საერთოთ დიქტატორები ნორმალური არ არიან, ეს დავას არ იწვევს, მაგრამ საქმე მხოლოთ სტალინის ფსიხიურ ანორმალობაში არ არის.

უმთავრესათ აღსანიშნავია ის, რომ სტალინის პოლიტიკა, მისი «გენერალური ხაზი» სავსებით გაკოტრდა. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა დღეს მთელ ეკონომიურ ფრონტზე უმწეო და სახიფათოა. თვით ბოლშევიკურ გაზეთების ცნობით მთავრობის გეგმა არ ხორციელდება არც ერთ დარგში: არც ნახშირის, არც ნავთის და არც მძიმე წარმოებაში. სოვხოზებს უკვე მოუხდინეს ლიკვიდაცია, კოლხოზებში მუშაობა კი მეტათ ძნელი და გართულებულია: სტახანოვურ მეთოდებმა ტრაქტორების დიდი უმრავლესობა უვარგისათ აქცია. მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში და ტრანსპორტზე სრული დეზორგანიზაცია არსებობს. არის უტყუარი ნიშნები მომავალი დიდი სიმშილის და გაჭირვებისა.

სტალინს ეშინია ყველა ამ უბედურებათა მიზეზათ ხალხმა თვითონ ის და მისი პოლიტიკა არ გახადოს და ცდილობს ყველაფერი სხვებს გადააბრალოს და თავს მოახვიოს.

წარმოების ყოველივე დარგის პასუხისმგებელი მოსამსახურე, როცა ის ოფიციალური გეგმის და უხეირო სისტემის გამო შესაფერის შედეგებს ვერ აღწევს, რაც უნდა პატიოსანი, ერთგული და მუყაითი არ იყოს იგი, მაშინვე მოღალატეთ, საბოტაჟნიკათ და უცხო სახელმწიფოთა აგენტათ არის გამოცხადებული.

თვით დიქტატორის და მისი პოლიტიკის კრიტიკა კი ყოვლად დაუშვებელია და ამისათვის დადებულია დიდი სასჯელი. აკი ასეთი რამეებისათვის სასტიკათ დაისაჯა ბოლშევიკურ პარტიის მემარცხნე, მემარჯვენე, თუ ცენტრის წარმომადგენელნი. ბევრი მათგანი დაისაჯენ აგრეთვე მხოლოთ მიტომ, რომ სტალინს წინასწარ აეცილებია თავიდან საშიშროება—ისინი მომავალში არ გამხდარიყვნენ დიქტატორის პოსტზე მისი კონკურენტები.

ამნაირათ კომუნისტურ პარტიის, ცოტათ თუ ბევრათ, ყველა თვალსაჩინო წევრები განადგურებულია და იქ გამეფებულია მხოლოთ ერთი პირის ტირანია. ტირანს გარს ახვევია ლაქიების, მლიქვნელების და მონა-მორჩილთა ამალა. მაგრამ ტირანს დღეს არ აქვს არც ამ არარაობათა იმედი. ამიტომ ის დასაყრდნობს პარტიის გარეთ, განსაკუთრებით, ჯარში ეძებდა.

დიქტატორმა წითელ ჯარს შეუქნა მატერიალურათ პრივილეგიური მდგომარეობა. შემდეგ დაჰყო ის რანგებათ, შემოიღო იქ ჩინ ორდენები და ბევრნი დაასაჩუქრა მარშალ-გენერლობით. მაგრამ ვაი უმადურობას! თვით სტალინის მიერ დასაჩუქრებულ მარშალ-გენერლებს განუზრახავთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება და ბოლშევიკურ პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელების თავიდან მოშორება.

სტალინმა ჯარის ხელმძღვანელებათ ვითომ მისი ერთგული ხალხი დანიშნა ყოველგან და ეხლა ეს მისი ერთგულნიც ორგულნი გამხდარან. გენერალი გამარნიკი, იაკირი და ზოგი სხვები არ ეკუთვნოდენ ბოლშევიკურ პარტიის არც მემარცხნე და არც მემარჯვენე ფრთას, ისინი ას პროცენტიან სტალინელებათ ითვლებოდენ. ამრიგათ ბრძოლა ეხლა ძალაუფლებისათვის თვით სტალინელებს და კრემლის კამარილას შორის იწყება.

რომ მოწინააღმდეგეთ სახელი გაუტეხოს და ისინი ხალხის თვალში გააშავოს, სტალინი არაფერს არ ერიდება და წითელი ჯარის სარდლობის კარგი მოზრდილი ნაწილი მისი წყალობით უცხო სახელმწიფოების აგენტებათ და ქვეყნის გამყიდველებათ გვევლინება. ასეთი ბრალდება რომ ერთი, ან ორი პირისათვის წაეყენებიათ, ამას კიდევ კაცი დაიჯერებდა, აქ შეუძლებელი არაფერია, მაგრამ როცა ასეთ რამეში ბრალი საერთოთ დიქტატორის ყველა მოწინააღმდეგეთ ედება, ამას ყველა სკეპტიკურათ უყურებს და ეს არავის არ სჯერა.

ვუფრო დასაშვებია ის, რომ ტუხაჩევსკი, იაკირი და სხვები იყვნენ არა გერმანიის აგენტები, არამედ გერმანიასთან დაახლოვების და მასთან საერთო ენის გამონახვის მომხრენი. ცნობილია, რომ რაპალოს ხელშეკრულობიდან დაწყებული, საკმაო ხნის განმავლობაში, გრძელდებოდა კავშირი წითელი ჯარის და გერმანიის რაიჰსვერს შორის. თუ დღეს რაიჰსვერის რიგებში ბევრნი არიან მოსურნენი რუსეთში სამხედრო დიქტატურის გამარჯვებისა და დიდ რუსეთთან დაახლოვებისა, რუსის სარდლობასაც თავის მხრივ შეეძლო შეცდილიყო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და გერმანიასთან კარგი განწყობილების დამყარებას.

სტალინმა გენერლები დაახვრეტინა არა გერმანიასთან დაახლოვების იდეისათვის, არამედ, განსაკუთრებით, მიტომ რომ გენერლებმა განიზრახეს სტალინის გადაგდება და თავისი საკუთარი პოლიტიკის წარმოება. სტალინს ძალაუფლების შესანარჩუნებლათ გერმანიასთან დაახლოვება რომ დასჭირდეს, ამას ის თვითონაც არ დაერიდება. მას უნდა ყოველგან იყოს პირველი, ყველაფრის ინიციატორი და ბატონი.

სტალინმა მის საკუთარ პარტიაში ყველას თავი შეაძულა, მაგრამ ყველასათვის გახდა საშიშარი პიროვნება. მან იქ ჩეკა, ტერორი გაამეფა. ცხადია, დიქტატორი თავის პარტიას ველარ ენდობა. ველარ ენდობა ის დღეს აგრეთვე ვერც მის ოდესღაც ერთგულ ჩეკას: მისი მარჯვენა ხელი, მისი პირადი და ახლო მეგობარი იაგოდა და სხვები სტალინის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ხელის შემწყობი ყოფილან. ამიტომაც იყო დიქტატორმა კრემლის დაცვა სასწრაფოთ ჩეკისტებს ჩამოართვა და ის ჯარის ნაწილებს გადასცა. მაგრამ დახეთ უბედურებას! სტალინის თავიდან მოშორების მოტრფიალენი დიქტატორის მთავარ დასაყრდნობ ძალაში—წითელ ჯარშიდაც აღმოჩნდენ.

სტალინი მანიოვრებს აკეთებს და საშუალებათ, უმთავრესათ, ადამიანის უმდაბლეს ინსტინქტებს—ინტრიგებს, ერთი მეორის ღალატს და სიძულვილს—იყენებს. ხან ჩეკას აუწევს ყურს და მას ჯარის კონტროლის ქვეშ აყენებს, ხან კი ჯარის უმაღლეს პირებს მიუსევს ჩეკისტებს და საყოველთაოთ ცნობილ ცინიკურ პიროვნებას—ეჟოვს გენერლების «გამცემლობის» აღმოჩენისათვის აჯილდოებს. პოლიცია დაუპირდაპირა ჯარს, ჯარი კი პოლიციას. ჯერ წლების განმავლობაში პარტიაში, პოლიციაში თუ ჯარში ბევრს შეუქნა ავტორიტეტი და სახელი, ეხლა კი ეს მათი სახელი და ავტორიტეტი მიწაზე დაანარცხა და ლაფში ამოსვარა. მას აღარ უნდა ყავდეს მეგობარი, თანამოაზრე, ის თვითონ ყველა სხვებისათვის აზროვნებს.

ახალგაზდების ყველა პოსტებზე წინ წამოწევის ლოზუნგით მდგომარეობას ის ვერ გაიუმჯობესებს. გამარნიკი, იაკირი და სხვა 40 42 წლის გენერლები ახალგაზდები არ იყვნენ? მაგრამ ახალგაზდობამ მათ ხელი არ შეუშალა სტალინის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ?

წვალება, დახვრეტა, ან თავის მოკვლა, აი რა მოელის ყველა მათ, ვინც სტალინს გარს არტყია და ვინც მასთან დღეს ახლო არის, აი რაზედ უნდა ფიქრობდენ დღევანდელი რჩეული სანოვნიკები. სტალინის იმედი და ნდობა არც ერთს მის მახლობელთაგანს ვერ ექნება. სტალინმა ეს მშვენივრათ იცის და თვითონაც ის არავის არ ენდობა. ბატონობის შესანარჩუნებლათ და მის ფეხქვეშ ფრიად მოძრავ ნიადაგის დასამაგრებლათ ხმალ ამოღებული დიქტატორი გამოსავალს ხალხის პლებისციტში ეძებს, მაგრამ სანამ ის თავის მდგომარეობას განიმტკიცებდეს, შესაძლოა ამავე ხმლისაგან დაიღუპოს.

გ. გ.

წერილი საქართველოდან *)

ამხანათ გწერთ მოკლეთ. ეს ორი თვეა მთელ საქართველოში ხდება უთავბოლო დაპატიმრებანი, იჭერენ მარცხნივ და მარჯვნივ, უწესრიგოთ; იჭერენ ინტელიგენტებს, რომელთაც გამოაჩნდათ საკმარისი სიმტკიცე რომ არ წამოედვას ბოლშევიკური «ნაციონალიზმის» ანკეს; იჭერენ გადასახლებიდან დაბრუნებულ მენშევიკებს, მუშებს, რომელთაც გაბედეს უკმაყოფილობის გამოთქმა; იჭერენ სრულიად უმიზეზოთაც იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება ისინი მავნე აღმოჩნდენ. დაპატიმრების თვითეულ შემთხვევაში ჭირისუფალთ აფრთხილებენ—არ გაბედონ ვინმეს აცნობონ ეს ამბავი, თორემ დატყვევებულის მდგომარეობა გაუარესდებაო. დატყვევებულთა რიცხვი დიდია როგორც თფილისში, ისე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში და სხვაგან. მთელი მოსახლეობა ცხოვრობს ამ კოშმარის ქვეშ.

ყველა ვატყობთ რომ რაღაც ქუხილი ახლოვდება, ისე წარმოუდგენელია აიხსნას მთავრობის უკიდურესი ნერვიულობა, რასაც ის ამჟამათ იჩენს. ოცი მაისიდან ხდება ც. კ-ს ბინაზე დაუსრულებელი თათბირები. სამი დღე გრძელდებოდა ერთი კრება, ბერიას თავმჯდომარეობით და სომხეთის და აზერბაიჯანის კომპარტიათა მდივნების მონაწილეობით: ამ კრებებს დაესწრო საგანგებოთ მოწვეული პირები. საგანი კრების და შინაარსი თათბირის საიდუმლოებით მოცულია. ხმა დადის რომ აღმოაჩინეს შეთქმულობა სამხედრო პირთა შორის. დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ამიერ-კავკასიის ჯარების უფროსის ლევანდოვსკის უეცარი გაქრობა. ზოგი ამბობს დაიჭირესო, ზოგი კიდევ მოსკოვში გაიწვიესო. 23 მაისს მდივანთა თათბირზე გამოიწვიეს ლევანდოვსკის თანაშემწე და კიდევ ერთი კომუნისტი ღენერალი. რა მიზნით მიიწვიეს, ეთათბირენ თუ ჩვენება ჩამოართვეს არავინ უწყის. ვიცით მხოლოდ რომ ორივე გამოვიდენ თათბირიდან ფერწასული. ორივე ეს ღენერლები კარიერისტებია. კომუნისტების მომხრენი. ამბობენ ისინი ბერიამ დააყენა მოსალოდნელი ამბების კურსშიო. საზოგადოთ მთელი ეს მზადება და თათბირები სრულიად საიდუმლოთ ხდება. შეიძლება ამას მოფინოს სინათლე ერთმა ცნობამ, რომელიც ამ დღეებში სარწმუნო წყაროდან გადმომცეს დიდათ საიდუმლოთ.

აი ეს ცნობა: მოსკოვში აღმოაჩინეს დიდი შეთქმულობა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. შეთქმულობის მეთაურია ვითომ ღენ. ტუხაჩევსკი, რომელსაც მიუღია ერთი დიდი სახელმწიფოსაგან დაპირება—ყოველნაირი საშუალებით დაგეხმარებით როგორც რეჟიმის დაცემაში, ისე არსებული იმპერიის საზღვრების დაცვაშიო. გადმომცეს რომ სტალინი ამ ჟამათ ამზადებს შეთქმულთა დაპატიმრებას და დახვრეტას და რომ ამ გარემოებამ არ გამოიწვიოს ჯარებში რაიმე გართულება მიღებულია წინასწარი ზომებიო. ასეთი მზადება ახლა საქართველოშიაც წარმოებს ამიერ-კავკასიის მასშტაბითო. რამდენათ ეს ცნობები სიმართლეს შეიცავს—ალბათ ჩქარა დავინახავთ...

მუშათა შორის. მთავრობა მუდამ გვიჩიჩინებს რომ მან «ბედნიერი ცხოვრება» მოაწყო, მაგრამ შეუძლებელი გახდა მშიერის დარწმუნება იმაში, რომ ის გამძღარია. თვიური საშუალო ხელფასი მუშის არ აშორდება 250-270 მან. ამ ფულით კი ცხოვრება შეიძლება მხოლოდ ერთ კვირას. ეს მთავრობამ იცის, მაგრამ არ ძალუძს გააუკეთესოს მუშის მდგომარეობა. შეეცადენ მუშის «კვება» გასართობებით; გამართეს მუშებისათვის განსაკუთრებითი ლიტერატურული საღამოები ლექციებით ქართველ კლასიკებზე, აძლევენ მუქთ ბილეთებს სინემებში, თეატრებში, იმართება მუსიკალური საღამოები ცეკვით და სხ., მაგრამ ეს არ იძლევა შედეგს. ამ ზომებს მუშები უწოდებენ: «უპურო გასართობებს». მათ სცადეს დელეგაციების გაგზავნა და მატერიალური გაუმჯობესობის მოთხოვნა, მაგრამ ყველა ეს ცდა გათავდა სამწუხაროთ—დელეგატების სათითაოთ დაჭერით და გადასახლებით. ამის შემდეგ მუშათა შორის დაიწყო მოძრაობა, თფილისის დეპოს თაოსნობით. მაისის პირველ რიცხვებში აქ გაიმართა კრებები სადაც წამოაყენეს ლოზუნგი: არ კმარა გასართობები, მოგვეცით პური. ერთ კრებაზე ძალზე სცემეს კომუჯრედის წევრთ, რომელნიც «მუშათა და გლეხთა მთავრობის» დამცველათ გამოვიდენ. ასეთი კრებების მოწყობა ხდებოდა უმრავლეს შემთხვევაში მუშაკომუნისტების მეთაურობით. მთავრობამ უპასუხა რეპრესიებით, დაიჭირეს მრავალი მუშა, რომელთა შორის აქტიურები საჩქაროთ გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან. სიღარიბე აუწერელია, გაჭირებამ გააძლიერა პროსტიტუცია აქამდის გაუგონარი მასშტაბით და ქურდობა და გაფლანგვა. ცხოვრება პატიოსანი შრომით გახდა შეუძლებელი. ძალიან გავრცელებულია თქმულება: «ვინც არ იპარავს, არ სჭამს».

მაისი.

---

*) ეს წერილი გამოგზავნილია ტუხაჩევსკის და მისი ამხანაგების დაჭერის წინა კვირაში. აქ გადმოცემული ცნობა მათ შესახებ მტკიცდება სავსებით ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული ცნობებით ევროპის პრესაში. რედ.

საბჭოთა მეურნეობა

ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა სახალხო მეურნეობაზე აყვავებისა და წარმატების მეტი არაფერი გვსმენია. სოფლათ თუ ქალაქათ საბჭოთა წარმოების უხვი ნაყოფი «სრულ კმაყოფილებას» აძლევდა მოქალაქეთ და ანიჭებდა მათ «საამურ ცხოვრების პირობებს». სტალინის დიქტატურა არწმუნებდა გარეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრს, საბჭოთა ინდუსტრიის პროგრესსა და წინმსვლელობაში, შიგნით—ამერიკის დადევნებისა და მის გასწრების შესაძლებლობაში. მაგრამ ტრაბახით და სინამდვილის დამალვით ვეებერთელა საბჭოთა აპარატის გამოკვება არც ასე ადვილია და ისიც ალაპარაკდა, და «თვითკრიტიკის» ხაზით სააშკარაოზე გამოტანა საბჭოთა სახალხო მეურნეობის დაცემისა და განადგურების სურათი. ორი ხუთწლედიანი გეგმის შესრულება ოთხ-ოთხი წლების მანძილზე სრული თვალთმაქცობა გამოდგა; კიდევ მეტი, პირველი ხუთწლედი თურმე შემუშავებული ყოფილა მენშევიკების შთაგონებით, მეორე ხუთწლედი—ტროცკისტების ხელმძღვანელობით. მთელი პასუხისმგებლობა იმ უჩინარ კლასიურ მტერს და ყველა რჯულის კონტრ-რევოლიუციონერებს თავს დაატყდა. სახელმწიფო გეგმის მთავარი ხელმძღვანელი სმირნოვი აშკარათ კითხულობს: «იყო კი ყველა წარსული სამრეწველო გეგმები მართლა ბოლშევიკური?!..» «სოციალისტური ეკონომიკის» დირიჟორი ეგ. წ. «გოსპლანი» მავნებლებით გავსებულა. მრეწველობის ყველა დარგში ბუდე გაუკეთებიათ მავნებლებს და «ტროცკისტებს», ბევრ ადგილას ხელმძღვანელ საჭეებსაც დაპატრონებიან. ასეთია შეფასება თვით საბჭოთა პრესის. მხოლოდ სტალინის ერთგულ პროკურორის ვიშინსკის გამოკვლევით, რომლისთვის მიუნდვიათ მიზეზთა გამორკვევა და დამნაშავეთა აღმოჩენა, მთელი დანაშაულობა თავზე ატყდება ერთგულ «აპარატჩიკებს», პარტიულებს, კარიერისტებს, რომელნიც კარიერის ძებნის, ორდენის მიღების, თანამდებობაზე წინ წაწევის სურვილით, მეურნეობის კრიტიკულ მდგომარეობას ხელს აფარებენ და გაბერილ ციფრებით სატრაბახო პაკეტებს მოსკოვში აგზავნიან («ბოლშევიკი» 15 მაისი). მაგრამ კოლმეურნეს სოფლათ, ქარხნის მუშას ქალაქათ აღარ აინტერესებს სტახანოვის სახელის დამსახურება, ორდენების მიღება, ათასგვარ სოც. შეჯიბრებაზე ყველას ხალისი დაეკარგა. მყვირალა მანიფესტაციებით და სტახანოვური დაკვრითი წესების წარმოებით, მშრომელმა მეტი შრომა გაიღო, ცხოვრების პირობები კი ისევ უმწეო დარჩა. აქედან მავნეთა როლში თვით მუშა, გლეხი, ტეხნიკოსი გამოდის, «აფუჭებს» მანქანებს, სპობს მოსავალს. ასეთი მოვლენა დღითი-დღე მეორდება. მაგრამ არა აშკარათ, თვალხილულად, არამედ სხვადასხვა ფორმებში, მავნე ხელი აღმოუჩენელი ხდება. «მთელი რიგი ქარხნების სისტემატიურათ უშვებს უვარგის საქონელს, მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებში წუნის გორები ჩნდება, ზოგიერთ ფაბრიკებში წინანდებურათ აფუჭებენ ნედლეულს»—ჩივის «პრავდა» (8 ივნისი).

მთელ კავშირში შეკეთებულია 21 პროც. ტრაქტორ-მანქანების. დამზადებული მანქანები რამოდენიმე თვის ხმარების შემდეგ ცვდება, მათი შეკეთება კი შეუძლებელი ხდება. გეგმაში გათვალისწინებულიდან მინდვრების 60 პროცენტია დათესილი. დონის მაღაროებში ამ წლის უკანასკნელ სამ თვეში მადნეულობის ამოღება სამი მილიონი ტონით შემცირებულა. წარმოების ასეთივე დაცემაა სხვა მაღაროებშიც («იზვესტია», 6 აპრილი). ქაღალდის ინდუსტრია კატასტროფიულად დაცემულა. მიმდინარე წლის თვეებში გეგმაში გათვალისწინებულიდან 11 ათასი ტონით ნაკლებია გამოშვებული. პირველ მოთხოვნილების საგნების განწესრიგებას ახდენს შინა-ვაჭრობის კომისარიატი. სადაც გამეფებულა სრული ანარქია, უდარდელობა, მავნებლობა, ძმა-ბიჭობა, მთელი რიგი რაიონებისთვის საქონლის არ მიწოდება, საშინელი ბიუროკრატიზმი; აი აღსარება რომელსაც აკეთებს «პრავდა» (10 აპრილი).

დაპყრობილ საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის სურათს კი თვით ბერია იძლევა თავის მოხსენებაში. რა ფასი და ღირებულება აქვს ბოლშევიკურ სტატისტიკას, გამოქვეყნებულ ციფრებს. მაგრამ მიმდინარე ლოზუნგი «თვითკრიტიკაა» და ბერიაც ხშირად ველარ მალავს იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის მრეწველობა ჩავარდნილა, ორჯერ თუ გაიტრაბახებს მესამეჯერ მაინც ჩამოთვლის ზოგიერთ დეფექტებს, რომელთა არსებობა ამა თუ იმ მეურნეობის დარგში სრულ განადგურებას უდრის. საქართველოს მძიმე მრეწველობის დარგები შედიან საკავშირო სახალხო კომისარიატის სისტემაში. მაგ. ჭიათურის მარგანეცი რუსეთს აძლევს 200 მილ. მანეთის პროდუქციას. ეს კი სტალინს არ აკმაყოფილებს. ბერია პირდება მას 1940 წლისთვის 2 ნახ. მილ. ტონ საქონლის მიწოდებას. ის თავზე ესხმის მოდებაძეს, რომელიც ჯაშუში და გამცემელი გამომდგარა, თუმცა არ ასახელებს რაში გამოიხატა მისი მავნებლობა. ჭიათურის მაღარ-ში ხდება მთელი რიგი ავარიათა, საკმაო საქონლის გადაზიდვა შეუძლებელი ხდება უვარგის ტრანსპორტის გამო, ეს საკითხი კი დასმულია კაგანოვიჩის წინაშე. ბერია უბრძანებს მუშებს, მოსამსახურეებს, ტეხნიკურ პერსონალს, მიმდინარე წელს გეგმა გადაჭარბებით უნდა იქნას შესრულებული. ერთი სიტყვაც არ წამოცდენია იმის შესახებ, თუ როგორია შრომის პირობები, რანაირ მდგომარეობაშია მუშა-ხელის ნივთიერი დაკმაყოფილება. სტალინის «ნამესტნიკის» ამოცანას საქართველოში ეს არ შეადგენს. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი გამოსწოვოს ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს და სტალინის დიქტატურას მიართვას მოსკოვში. ფერომარგანეცის ქარხანაში საქმის თავის დონეზე დაყენება შეუძლებელი გამხდარა; კითხვა დასმულია საკავშირო მძიმე მრეწველობის კომისრის მეჟლაუკის წინაშე, რათა მან კომისია გამოგზავნოს ავარიებისა და მავნებლობის გამოსარკვევათ. ტყვიბულის ქვანახშირის—ხელმძღვანელი ვინმე ხვედელიძე მავნე და კონტრ-რევოლიუციონერი აღმოჩენილა, თორემ საქმე კარგად წავიდოდა. ეხლა მაღაროების მდგომარეობა კრიტიკულია ბერიასივე აღსარებით. თვით ღირებულება დიდია. ამოღების რაოდენობა 24 პროცენტს ძლივს უდრის. აქაც აღძრულია შუამდგომლობა მოსკოვის წინაშე რათა მან კომისია გამოგზავნოს საკითხის შესასწავლათ.

ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს ღირსებია ბერიას მიერ გამოთხოვნილი კომისია ვილაც განჩარენკოს და სტომის შემადგენლობით, რომელთაც «მავნე ტროცკისტის» თავი აღმოუჩენიათ და მოსახსენებლათ მოსკოვში წაბრძანებულან.

მსუბუქი მრეწველობის გამგებლობა ფორმალურათ ეგ. წ. «ბერიას მთავრობას» ევალება, თუმცა მოსკოვის ხელი და თვალი მას არ შორდება. ბერიასვე თქმით აქაც სურათი უნუგეშოა. აგურის ქარხნები წაგებას იძლევა. თვითღირებულება დიდია. საშენი მასალის მრეწველობაში მისივე თქმით სამარცხვინო ჩამორჩენაა. მრავალ მშენებლობაში იხარჯება უამრავი თანხები, იფლანგება უანგარიშოთ. სატყეო ექსპლოატაციის საქმე დაუყენებელია. მიუხედავათ საკმაო შეშის არსებობისა ადგილობრივათ, თბილისის საბჭოს ცნობით მისი შემომტანი არავინ არის, ქალაქში «დაახლოვებით ნახევარ ბინებს ზამთარში ნავთით ათბობენ, რაც ბინებში ჰაერს აფუჭებს, ზოგან ბინა კი მთლათ გაუთფობელი რჩება» («კომ.», 15 მაისი). მსუბუქ მრეწველობის არც ერთი დარგი არაა თავის სიმაღლეზე დაყენებული. მაგრამ ბერიას ყავს თუ ვის უნდა ჩააფრინდეს კისერში, გადააბრალოს ყველაფერი, ეს მისივე ამხანაგი, გადაყენებული მსუბუქ მრეწველობის კომისარი ყურულაშვილია რომ საკუთარ რეჟიმს ბოდიში მოხადოს, ისიც გადაისროლა მავნეთა რიცხვში.

საქართველოში «სოვხოზებმა» ვერ იხეირეს, ქართველი გლეხის ისე დამონება, რომ მათრახით ხელში სახელმწიფომ ის აკეთებიოს რაც უნდა, ძნელი შეიქნა. სტალინმა ვითომ გლეხების გულის მოსაგებათ მათი ქონება კოლმეურნეთ გადასცა. სანიმუშოთ დარჩენილნი «სოვხოზები» სულს ლაფავენ. კოლმეურნეობის საქმეებიც აწეწილ-დაწეწილია. მათ არ ყოლიათ სარევიზიო კომისია. მთელ რიგ ადგილებში თავმჯდომარე და ხაზინადარი ძმა ბიჭურათ აწყობენ საქმეებს. მივლინების, საკანცელარიო მუშაობის თუ სხვა სახის დავალებით თვითონ ინიშნავენ მომეტებულათ შრომის დღეს. ხშირია მათ მიერ გამართული ქეიფი, დროს ტარება კოლმეურნეობის სალაროს ხარჯზე. თვით მშრომელ კოლმეურნეთა მდგომარეობა არც ისე სანუგეშოა, მათი შრომა დაუფასებელია, ხდება მათი უსამართლოთ გარიცხვა, მათი ხვედრის ნაწილი ამა თუ იმ ფონდში მიდის, ხდება საქონლის დატაცება, ანგარიშის მოხდენის შემდეგ მათი წილადი უმნიშვნელოა. ბერიამ გამოიტანა ციფრები, თუ რამდენი მოუწევიათ გასულ წელს, ჩაი, ღვინო, თამბაქო, ხილეულობა. მათი რაოდენობა არ აკმაყოფილებს და აყენებს მოთხოვნილებას, თუ რამდენი უნდა იქნას მოყვანილი 1940 წელს. არც ერთი საბჭოთა მოქალაქე არ უნდა დარჩეს შამპანიური არ ედგას მაგიდაზედ. ჩაით და თამბაქოთი დაკმაყოფილებულ უნდა იქნას რუსეთის ბაზარი. ასეთია სტალინის სურვილი და მისი ამსრულებლის ბრძანებაც საქართველოში გლეხობის მიმართ.

როგორც დავინახეთ, ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის არც ერთ დარგს არ ძალუძს დამოუკიდებლათ საქმის წარმოება. საწარმოვო გეგმები მუშავდება მოსკოვში. ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზთა აღმოსაჩენათ, მანქანათა ასამუშავებლათ, საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლება ითხოვს ტეხნიკურ კომისიებს, არა იმდენათ ძალთა უქონლობის გამო, არამედ მებატონისადმი ერთგულების გასამართლებლათ. ბერია უსირცხვილოთ ააშკარავებს საქართველოს ნაციონალურ ეკონომიკის სრულ დამორჩილებას მოსკოვისადმი. უკანასკნელის კოლონიალურ ეკონომიური პოლიტიკის მიზანია ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაცია. კულტურულ მცენარეთა მოყვანით, მისი გაძლიერებით, საკუთარ, სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. პურეულობის მაგიერ, რომელიც ჩვენი მშრომელი გლეხ-მუშის უმთავრეს საკვებ საგანს წარმოადგენს, ის ამრავლებს ციტრუსებს და სხვა მცენარეულობას, რომელთა ექსპორტი მისთვის საინტერესოა და სარგებლიანი. ამ გზით კოლმეურნეთა მიერ აღებული გროშები უბრუნდება მომარაგების დუქნებს, სადაც ერთი წყვილი წუღის შეძენას ერთი თვის ნაშრომი სჭირდება. ბერიას რამოდენიმეთ შეუძლია იტრაბახოს, ელექტრო-ენერგიის კილოვატ-საათების გადიდებით, სხვადასხვა ადგილებზე ჰიდრო-სადგურების აშენებით, რამდენათ დადებითი არ იყვეს ეს ტეხნიკური მიღწევანი, ისინი ხდებიან იარაღი მოქალაქეთა უკეთესი ექსპლოატაციის, მათი დამონების; ჯერ ერთი მათი ნივთიერი საარსებო წყარო ისევ უმწეო რჩება, მეორედ ადამიანის პიროვნება დამონებული პოლიტიკურათ და უფლება აყრილი ვერ იპოვის ვერავითარ დაკმაყოფილებას უსულო ტეხნიკის განვითარებაში, მით უმეტეს როცა ის, ადამიანს არ ანიჭებს სიამოვნებას შრომაში და ნაყოფს არსებობის უზრუნველსაყოფათ. ამის მიღწევა შეუძლებელია იმ პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემით, რომელიც მოსკოვმა დაამყარა.

საბჭოთა სახალხო მეურნეობის ნამდვილი სურათი, როგორც თვით რუსეთში ისე საქართველოში მოწმობს ხუთწლიან გეგმათა სრულ გაკოტრებას, მშრომელი მასების გულის გატეხას, ზურგის შექცევას ყოველგვარ სტახანოვ-შეჯიბრება-ორდენებისაგან.

სტალინმა თითქმის გაანადგურა ყველა ჩვენი თანამებრძოლნი, დაეყრდნო ახალ კარიერისტებს, ურომლისოთ ძირგამომპალ მის რეჟიმს სულის გათრევა არ შეუძლია. მაგრამ მისი მძლავრი მტერი ესაა მშრომელი მასა სოფლათ და ქალაქათ, რომელსაც დაუკარგავს შრომის ხალისი და დისციპლინა, სურვილი დიქტატურასთან სათანამშრომლოთ. მისი საშვალებით საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს სახალხო მეურნეობის ფეხზე დაყენებას.

პ. სარ—მე.

◆

ზოგი რამ

ამას წინეთ კავკასიელ ფაშისტების რუსულ «კავკაზ»-ში ბ. ხალილ ხას-მემედი ამტკიცებდა რომ —«ქართველმა სოციალისტებმა მოახდინეს სეპერატიული შეთანხმება სომხის დაშნაკელებთან სახელწოდებით «უნიონი», რომელიც აღიარებს: ა) გაერთიანება საქართველოს და სომხეთის უადერბაიჯანოთ და უმთიელებოთ; ბ) გაფართოვება საქართველოს და სომხეთის ტერიტორიის მეზობლების ხარჯზე; გ) აღიარება საქართველოსათვის და სომხეთისათვის უფრო საშიშრად ოსმალეთის, ვინემ რუსეთის; დ) გაძლიერება ქართველ და სომეხ მასებში ანტითურქული განწყობილების» და სხ.

ეს იყო ნამდვილი პროვოკაცია და ასეც ავღნიშნეთ ჩვენ «ბრ. ხმა»-ში (№ 68). ახლა ბ. ხას-მემედი პასუხს გვაძლევს, მარა თავს იკატუნებს, სიტყვას ბანზე აგდებს, ლობეყორეს ედება, ამ მის მიერ გამოგონილ პროვოკაციულ «შეთანხმებაზე» კრინტს არ ძრავს, თავის დაძვრენის მიზნით სადაო საგანს ცვლის და სეიმში ანტი-თურქული გამოსვლებისათვის, მეორე ინტერნაციონალში გაგზავნილ მემორანდუმის და სხვა ასეთებისათვის ჩვენგან მონანიებას ითხოვს!

მარა სეიმის დროს ხომ თურქები თოფ ზარბაზნებით მოდიოდენ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად და მათ წინააღმდეგ იმ დროს არა თუ ჩვენ, ის ქართველებიც კი გამოდიოდენ, ვინც დღეს მას გვერდს უმშვენებენ იმ უკაცრავად პასუხია გაზეთში, რომელსაც «კავკაზი» ეწოდება. მარა, მათ, ალბათ, უკვე მოინანიეს ეს «ცოდვები» და ამიტომაცაა, რომ ასე ძმურად, ასე ხელი ხელს გაყრილნი ერთად მიდიან, მიიმღერიან...

⁂

მადა ჭამაში მოდისო—ნათქვამია. და აი «კავკაზი»-ს ხაზეინს ბ. ბამატსაც კარგი მადა მოსვლია. აიღეთ და მიართვით მას .. ქალაქი ბათუმი! არც მეტი, არც ნაკლები! «ბათუმი ჩვენს წარმოდგენაში—სწერს ის—იმდენად საქართველოს ტერიტორიის ნაჭერი კი არ არის, რამდენად დიდმნიშვნელოვანი ბოლაზი ამიერ-კავკასიის მნიშვნელობის. ბათუმის საკითხში საქართველოზე არანაკლებ დაინტერესებულია აზერბაიჯანი». «ბათუმის საკითხში ოსმალეთთანაც უნდა გამოინახოს modus vivendi». «ნაციონალურ კავკასიამ, რომელიც მეტად დაინტერესებულია ოსმალეთის მეგობრობით და მის დახმარებაში, პრეტენზია არ უნდა განაცხადოს იმ მიწებზე, რომელიც მას საბჭოთა რუსეთმა გადასცა» და სხ. («კავ. № 6).

მგონი საკმარისია. ბ. ბამატმა პირბადე სავსებით აიხადა და საქართველოს სამტრო ზრახვანი სავსებით სააშკარაოზე გამოიტანა. მას უკვე წარმოუდგენია თავი კავკასიის დუჩეთ და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაჭრა-დაჩუქებას შესდგომია. დღეს ბათუმი, ხვალ მისავალი გზები (კორიდორები), ზეგ მთელი ოლქები ოსმალეთს და ასე ჩვენს ხარჯზე სხვების გულის მოგება!

უნდა ვიფიქროთ—ახლა მაინც აეხილებათ თვალები იმ რამდენიმე გზა-აბნეულ ქართველს, რომლებიც ამ ვაჟბატონს მხარს უმაგრებენ და ასე უდარდელად, თუ შეუგნებლად ხელს უწყობენ ანტიქართული ძალების გაძლიერებას...

⁂

ცნობილია რომ სითბოდან ყოველგვარი სხეული განიერდება. და აი დაიწყო სიცხეები თუ არა «კავკაზი»-ც გაგანიერდა, გაფართოვდა, გაიზარდა. ახლა ის უკვე რამდენიმე ენაზე იბეჭდება. გამოვიდა, რასაკვირველია, ქართულადაც. იგივე ფორმატი, იგივე ქაღალდი, იგივე წყობა, იგივე წერილები, იგივე ამირეჯიბ-ავალიშვილები, იგივე ბამატი—ხაზეინი. ერთი სიტყვით «კავკაზი»—გამოცემა ქართულად, სახელწოდებით—«კავკასია».

პირველსავე ნომერში, გარდა ჩვეულებრივი ფაშისტური აჟია-ბაჟიასი, მოთავსებულია ორი დიდი წერილი პირადათ ჩვენს წინააღმდეგ. ერთი ეკუთვნის ბ. შ. ამირეჯიბს, მეორე ვინმე ფარსმან ფარუხს, რომელიც ძალიან ცდილობს დამალოს თავის ვინაობა, მარა მისი გრძელი ყურები ისე შორიდან მოსჩანს, რომ გამოცნობა არც ისე ძნელია. მის ტაკიმასხარობაზე პასუხის გაცემა თავის დამცირება იქნებოდა რასაკვირველია.

ბ. შ. ამირეჯიბისათვის ჩვენს წერილს—«ორი სარდალი»—გზა-კვალი სულ აურევია და ვინ იცის რას არ ბუდბუტებს. ის არსებითად არას ამბობს და ვერც იტყვის. არც დაგიდევს ამას, რადგან იცის რომ ეს მისი ჭკუის საქმე არაა. ის ვერ ინელებს იმას, თუ როგორ გავბედე მე, «სამხედრო საქმეების არ მცოდნემ», ცნობილ ღენერლებზე წერა! მარა, ბ. ამირეჯიბს რომ წაკითხულის გაგება შეეძლოს—მიხვდებოდა, რომ მე სამხედრო საქმეების ცოდნა არსად დამიჩემებია. მე მოვიყვანე მხოლოდ ორი სარდალის აზრი და სიტყვები ერთი მეორის შესახებ და თუ აქ რაიმე უმართებულებაა დაშვებული—ამაში ჩვენ წილი არ გვიდევს. სხვა რამ სამხ. საქმეების ცოდნა არც დაგვიჩემებია და ვერც დავიჩემებთ, რა თქმა უნდა, ბ. ამირეჯიბთან შედარებით, რომლის ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში საყოველთაოდ ცნობილია. ნამდვილი ნაპოლეონი თუ გნებავთ სწორედ ის არის. ის ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა იყო, როცა პატარა ძველი «ბომბით», თუ მისი მსგავსი რამეთი, ერთი შეტევით იღებდა ხოლმე რამდენიმე ებრაელის დუქანს და ნადავლით ჯიბეს გაივსებდა. ხოლო როცა დავაჟკაცდა—ვინ არ იცის მისი სასახელო ბრძოლები თფილისის «პადვლებში» უზარმაზარი ბოჭკების წინააღმდეგ. და ყოველივე ამის შემდეგ აბა ვინ გაბედავს და მის «სამხედრო საქმეების ცოდნაში» იჭვს შეიტანს!

ის ჩვეულებრივად სტყუის, რასაკვირველია, როცა სწერს თითქოს ჩვენ თავს ვესხმოდეთ და ვებრძოდეთ ჩვენს სარდლებს და გენერლებს. ვერც ერთ ასეთ შემთხვევას ის ვერ დაასახელებს რასაკვირველია. თავს ისინი გვესხმიან ჩვენ და ჩვენს მთავრობას; ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ და ისიც სუსტად. კუ და მორიელის არ იყოს—მხოლოდ «ნაკბენ სხეულს ვიბანთ»!

ბ. ამირეჯიბი არც აკ. კვიტაიშვილს და ირ. ცაგურიას აკლებს თავის მაღალ ყურადღებას. ისინი თუ საჭიროდ დაინახავენ თვითონ გასცემენ პასუხს, მარა ზოგი რამ აქაც უნდა ავღნიშნო. ის თავს ესხმის ამხ. აკ. კვიტაიშვილს, პირველ ყოვლისა, იმისთვის თუ როგორ გაბედა მან, მაიორმა, სამხედრო ისტორიაზე წერა! ამირეჯიბი რომ «კავკაზ»-ის გარდა სხვა რამესაც კითხულობდეს—ეცოდინებოდა რომ მაიორს კი არა, უბრალო ჯარის კაცსაც ბევრი და საინტერესო რამ დაუწერია უკანასკნელი ომის შესახებ, ეცოდინებოდა რომ ისტორიული ამბების საწერად გენერლობა სრულიად არ არის სავალდებულო. ის იმასაც აყვედრის მას—სადაური დისციპლინაა მაიორმა გენერლებზე სწეროსო. რატომ მაშინ არ მოაგონდება ეს დისციპლინა, როცა ეს გენერლები ასე უმართებულოდ საჯაროდ თავს ესხმიან ჩვენი ქვეყნის მთავრობას! აბა რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი რომ გენერლებმა ასე უდიერად სწერონ თავის მთავრობაზე! «ეხლა ჯერია ვიკითხოთ—სწერს ის—ვის სასიამოვნოდ ჩვენი ყოფილი მთავარსარდლების წინააღმდეგ ასეთი კამპანია სწარმოებს» და სხ. ჯერ ერთი—არავითარი კამპანია მთავარსარდლების წინააღმდეგ არ სწარმოებს. იყო მხოლოდ მათი წერილების პასუხი. მარა, ერთი ჩვენც ვიკითხოთ—ვის სასიამოვნოდ სწარმოებდა და სწარმოებს ამირეჯიბის და მისიანების მიერ ეს თავაშვებული კამპანია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ? ვისთვის და რისთვის არის ეს საჭირო? ის სხვის თვალში ბეწვს ხედავს, თავისაში კი დვირესაც ვერა— რომ იტყვიან სწორედ ესაა.

ორი პოეტი

2. აკაკი.

როგორც წინა წერილში ვთქვით, ორივე პოეტი, ილია და აკაკი, პოეზიას აყენებენ ხალხის სამსახურში, ე. ი. უარყოფენ წმინდა პარნასელობას, ხელოვნებას ხელოვნებისათვის. ამის შედეგია იდეის გაბატონება ლექსთა წყობაში, პოეზიის დამორჩილება განსაზღვრული მსოფლმხედველობისათვის, შემოქმედების გამოყენება გარკვეული მიზნისათვის. აქ შეღუღებულია იდეალიზმი და რეალიზმი, პირველი როგორც დროშა, მეორე როგორც გზა მისკენ მიმავალი.

ილია გამოდის ასპარეზზე განსაზღვრული პროგრამით (აჩრდილი), აკაკი გამოდის იმავე დროს უპროგრამოთ, პირადი განცდით, დაგროვილი გრძნობათა ნაკადულით, ცივი ჩრდილოეთიდან გაგზავნილ საიდუმლო ბარათით. ერთი ქმნის პლანით, გათვალისწინებული ხაზით, სინტეტიური მეთოდით, რაც შეიძლება მეტი აზრის მოკლეთ მოჭრით. მეორე უპლანოთ, შემთხვევების და შთაბეჭდილებათა აყოლით, ანალიტიური მეთოდით, კერძოთა არა ერთათ დაგროვებით, არამედ პირიქით დაგროვებულის, მთელის ნაწილებათ დაჭრით, დაკვეთით და თვითეული ნაწილის ცალცალკე რგოლებათ აცმით. ილია ერთი დაკვრით მოერევა თავის საგანს, აკაკი კი მრავალი დაკვრით; ერთს ხელში უჭირავს ლახტი, მეორეს სადგისი, შედეგი კი ორივე იარაღს ერთნაირი მოაქვს. ეს ორი სახის შემოქმედება არის სარკე მათი ორი სხვადასხვა ნაირი ბუნების და ცხოვრების.

აკაკი უდგება საზოგადოებას განიდან, მასში არ იფლება, მისთვის არავითარ პასუხისგებას არიღებს. ამ გზით ის რჩება მუდამ დამოუკიდებელი, თავისთვის მოარული, ხელებ შეუბორკავი, აზრით თავისუფალი. ის არ ერიდება არავის, არც მტერს, არც მოყვარეს; არ სცნობს არავითარ შემბორკავ დამოკიდებულებას, ხელის შემშლელ მეგობრობა-ნათესაობას, არავითარ ავტორიტეტს; ის ყოველთვის და ყოველგან რჩება თავის თავის ერთგული: აჟღეროს თავისი ჩანგი გაბედულათ ყოველივე დამაბრკოლებელ მიზეზთა ანგარიშ გაუწევლათ. ამიტომ აკაკის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს პიროვნულ მომენტს, საკუთარ განცდას და მდგომარეობას. ის ასე ახასიათებს პოეტს: «დახვალ ამ სოფლად მარტოკა ობლად, ვით გარეგანი მიუნდობელი, შენთვის არ არის არც მეგობარი, არცა შობილი, არცა მშობელი». ეს თვითონ აკაკია. ეს ობოლი ზღვასავით ღელავს: «პოეტის გული აღელვებული, ზღვისა დარია, ზვირთებს აგორებს, სდგამს ტალღის გორებს თუ ავდარია, ღრიალ გრიალით, უცნაურ ძალით ცას ემუქრება»... ხოლო მის ირგვლივ მუდამ ავდარია და ისიც იძულებულია მუდამ ცას ემუქრებოდეს, ხან ელვასავით სჭექდეს, ხან ბულბულივით სტვენდეს, მას «ცა ქუდათ მიაჩნია, დედა მიწა ქალამნად. არც დიდი ვარ, არც პატარა, არც ბატონი, არც მონა... მაშინ უფრო მდიდარი ვარ, როცა უფრო ღარიბი ვარ... ვინ გგონივართ? ერთი ვინმე გიჟიცეტი? უკაცრავათ, შემცდარი ხართ, მე გახლავართ ეს—პოეტი». მისი გულისარკეა, «მხოლოდ მის სახეს გაჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია». ხოლო აქ კი იხედება ყველაფერი, ავიც და კარგიც. ამიტომ მისი მუზა «ზოგს ეტკბილება, ზოგს არა, მაგრამ რა ჩემი ბრალია? ბულბული ვარდსა და ეკალზე თანასწორად მომღერალია». პოეტის განცდა ისეთი მძლავრია, რომ მას არ ძალუძს არ ამეტყველდეს. «ლოცვა და ჩანგის ჟღერა ორივ ტყუპისცალია, მათი შემქნელი მშობელი მხოლოდ ძალთა-ძალია. მათი აკვანტახტია გრძნობა და გონება, ორივეს წინ უძღვის ზეგარდამო შთაგონება, არც ბრძანებას, არც თხოვნას არ ემორჩილებიან». დიდებული დახასიათებაა ყველა დიდი პოეტის, ყველა ციური მადლის და შთაგონების. «შენი ქება და დიდება, შენი ლხინი და ჭირიო. მაღლიდან გადმომძახეს—ქამანჩაა და სტვირიო».

ცხადია, აკაკის სწორათ აქვს შეგნებული და გაგებული თავისი ნიჭი და მოწოდება. მისი გაგება პოეტისა არის გაგება ყველა დიდი მგოსანისა საზოგადოთ; ის ამ გაგებით ენათესავება ყველა მსოფლიო პოეტებს. ის ქმნის იმიტომ რომ არ შეუძლია სხვანაირათ მოიქცეს. მისი გული და გრძნობა მუდმივ შეუჩერებელ კავშირშია ცხოვრებასან და მის მოვლენათ თავისებურათ განიცდის. ამ განცდას აქვს ორი მხარე: ტეხნიკური და იდეიური. აკაკის სტილი სავსებით შეფარდებულია მის იდეიასან. ეს შეღუღება იშვიათი მოვლენაა, უფრო ხშირათ ან ერთი ჭარბობს ან მეორე, ხან აზრებს ანაცვალებენ სტილს, ხან სტილს აზრებს. ამ ორი ფორმის ერთ ფორმათ ჩამოსხმა შესძლო სავსებით რუსთაველის შემდეგ აკაკიმ. ის ენის ქურუმია. როგორც ვეფხის ტყაოსანის გაგებას უშლის მისი ენის მიმზიდველობა, ისე აკაკის ლექსებში ჩაკვირვებას აბრკოლებს მისი ენის სიმსუბუქე და მუსიკალობა. მკითხველის ყურადღებას ისე ხიბლავს ორივე შემთხვევაში ჰანგების ჰარმონია, რომ არ აძლევს ხალის და დროს შინაარსი კარგათ გაიგოს. მისი ენა გესლით სავსეა, მწარე სიტყვას ტკბილათ შემოგაპარებს. მის ლექს კითხულობთ სიამოვნებით, თუნდაც მის შინაარს სრულიად არ ეთანხმებოდეთ. მისი გამოთქმა ბუნებრივია, მისი ფრაზა ხალხის გულიდან ამოღებულია. სიტყვების აწყობა თავისთავად იძლევა რითმას, ხოლო ეს აწყობა კი არ ხდება ძალდატანებით, სიტყვების გადაბრუნ-გადმობრუნებით. მისი ბაგიდან მოსჩქეფს დაუშრეტელი შადრევანი წარმტაცი სიტყვიერების. ყველა პოეტს არ შეუქმნია საკუთარი სტილი, ჩვენში ის შექმნა მხოლოდ შოთამ და აკაკიმ. ორივეს სტილი არის სადა, უბრალო. საფრანგეთის დიდი სტილისტი პოეტი მალჰერბი ამბობდა, კარგი ფრანგულია ის რომელიც დაბალ ხალხს ესმისო. აკაკის ქართული გასაგებია ყველა ქართველისათვის, განსაკუთრებით სწორეთ დაბალი ხალხისათვის, ვინაიდან ეს მისი სასაუბრო ენაა. მისი გამოთქმათა კონაა. სჯობს ლექსიკონი შემცირო, ვინემ ის გაამრავლო ხალხისათვის გაუგებარი უცხო სიტყვებით. აკაკის ლექსიკონში ასეთი სიტყვები არ მოიპოვება, მისი სიტყვიერება ნაციონალურ ხალხურია. მისი სტილი არ არის მჭერმეტყველური და სწორედ ამაშია მისი ღირსება. მჭერმეტყველობა კლავს ბუნებრივობას, ხოლო არაბუნებრივობა კლავს პოეზიას და აქცევს მას ნაძალადევ რითმათა კრებულათ. აკაკი შორს არის ამ დარგის მელექსეობიდან. მისი ლექსი არ არის ნაკეთები, შეთხზული, ხელოვნური, ის თითქოს გესაუბრება უბრალოთ და ამ საუბარში თავის თავათ ჩქეფს ჰარმონია, ჰანგების შეხმატკბილება. დასამტკიცებელი საბუთების მოყვანა ზედმეტია, საბუთია ყველა მისი ლექსი, მოკლე თუ გრძელი, მთელი თხზულება.

აკაკის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა სრული გულწრფელობა; პოეტი ამბობს რასაც განიცდის, ამბობს პირდაპირ, მიუკიბ მოუკიბავათ, რაინდულათ და მამაცურათ. მას არა აქვს რა დასამალავი, მისაფუჩეჩებელი, არ მისდევს თქმულებას—ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდებისო; ის ყოველთვის ამბობს, ზოგან და როდის მის ლექსიკონში არ სწერია. ის თავის თავს უწოდებს «თავხედს», სრული ჭეშმარიტებაა. ის არის უშიშარი, მოურიდებელი, თავხედი პირში მთქმელი. აკაკი არის ის რასაც აშკარათ ამბობს, არავითარი უკანა აზრი, საიდუმლო მოსაზრებანი მასში არ მოიპოვება. მისი მუზა არ არის შეკაზმული, ჩაცმულ-დახურული, სათვალისეიროთ გამოწყობილი; პირიქით, ის არის მთლათ ტიტველი. დედის მუცლიდან ახლათ შობილი, დაუფარავი და შეუმოსავი. დადის ის «მარტოკა, ობლად»; ცხადია, ეს «თავხედი» არავის ეპიტნავება, მას ყველა ზურგს აშვერს და გაურბის, ვინაიდან ვის როდის მისგან რა მოხდება—არავინ უწყის. ის არის მგოსანი-ყარყუმი, შარაზე გამოსული და ამაყათ მთქმელი: «დიდკაცებს თავს არ უკრავ, რა მათი საფერო ვარ»; ამიტომ რასაკვირალია ის ამ «დიდ-კაცებისაგან» მუდამ აბუჩათ იყოს აღებული და იდევნებოდეს; ამის უკანასკნელი მაგალითია მის ნაწერების უდიერათ გამოცემა პირში მთქმელს, მჩაგვრელნი ვერ ითმენენ. პოეტი ამაზე კიდევაც ჩივის: «მინდა რამ ვთქვა, მაგრამ რა ვთქვა, უსამართლოდ ალაგმულმა?.. მე ამ ლაგამს წავიძრობდი, არ მაქვს უცხოს მორიდება, მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვედ ჩემივე ძმა მეჭიდება»: მთავრობა და საზოგადოება შეერთებულია მის წინააღმდეგ. სამაგიეროთ ის უყვარს ჩაგრულთ, მისი ლექსები აღწევენ ხალხის სულამდე და გადადის ხელიდან ხელში სათქმელათ და სამღერლათ. ის წინამძღვრობს მასებს. აკაკიმ სამუდამოთ დაისადგურა ქართველი ხალხის გულში, რუსთაველის გვერდით. რით? მარტო ფორმით, მარტო მუსიკით და ჰარმონიით? არა, ამ ფორმაში გამოხვეულია შესაფერი შინაარსი, მასში ჩაქსოვილია ერის და ხალხის გულის ნადები, ტვირთ მძიმეთა ცრემლთა ფრქვევა გადმოცემულია მომხიბლავი ლექსთა ფრქვევით.

აკაკის დროშაა ნაციონალური ხასიათის, მისი იდეალია თავისუფალი საქართველო. ეს მან ნათლათ და მამაცურათ გამოაცხადა თავის ლექსში «თვითმპყრობელობას»: «დამეხსენი ჩრდილოელო, რა მაქვს შენთან საზიარო? თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო?.. ვერ მომხიბლავ, ცრუ მოყვარე ვერც ენით, ვერც თვალადობით, შეგიპყრივარ, როგორც მთვარე, გველვეშაპსა, ძალადობით. შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემს გულს ანუგეშებს ის იმედი, რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს მთლად დალეწავს ჩემი ბედი!..»

ამ დიდი იდეალის განსახორციელებლათ პოეტი ეძებს შესაფერ ძალას თვით ჩვენივე ცხოვრებაში. ის აქ ხედავს ორ დიდ ფენას: მუშებს და გლეხებს ერთი მხრით, ყველა დანარჩენ საზოგადოებას მეორე მხრით. პირველთ უგალობს თანაგრძნობით, მეორეთ ეპყრობა უარყოფით. ეს ორი ქვეყანა მოკლეთ დახასიათებულია მის «ახალი გზა»-ში. «ჩემს სამშობლოს კარგათ ვიცნობ, მომივლია კიდით-კიდე; მარადის თქმით და გულწრფელობით ჭირი ჭირზე გადვიკიდე! აქ მონება ჭკუა არის, ორპირობა სიბრძნე დიდი და მას რჩება მოედანი ვინც კი არის მეტად ფლიდი .. მხოლოდ საწყალ მიწის მუშას არავინ ყავს გამკითხავი, მისი ოფლით თავს იკვებენ, ქურქათ მიდის მისი ტყავი...» აი ამ სიმებზე ჟღერს პოეტის ქნარი. «სიმინდსა თოხნა დავუწყოთ, ერთხმად დავსძახოთ მუშური, ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს, რომ გლეხნი ვართ უბედურნი... ყველა თავში გვიჩაქჩუნებს, გარეშე და შინაური, ცხელსა მიწას უხვად ალბობს ოფლი ჩვენგან მონაწური...» მას აწუხებს მემამულე, ბატონი. ის მას ეკითხება: «რომ იცი რაღად მკითხავ, ასე რი'თვის ვღონდები? მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები! პირუტყვივით მიმონებ. მფლობ და არ გეცოდები, მაგრამ, ჩემს წამწყმედს აქ, იქ შენ ვერ ცხონდები! ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი, შენ ღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი, მაგრამ შენ რას დამეძებ? შენი ფიქრი ეს არი: ნეტავ ვინ გაასწორა ერთადო მთა და ბარი?..» პოეტი ეტრფის ერის გამთლიანებას დამონების მოსპობით, ხოლო მთლიანი ერი მას ესაჭიროება გარეშე მტერებთან ბრძოლისათვის. ამიტომ იგივე გლეხი. ასე უჩიჩინებს თავის ბატონს: «ამით ჩვენი კავშირის უფლებით ხარ შემცვლელი, ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი, მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალ დროს რომ მოელი? რათ არ მეტყვი: ძმები ვართ, მოდი, მომხვევ

თუ ბ. ამირეჯიბმა არსებითად ვერაფერი სთქვა, სამაგიეროთ, ჩვენი გინებით კი გული იჯერა. ახლა ის, ალბათ, ზის ბამატის ოთახში ფეხ მორთხმული და თავის ალას არწმუნებს—რომ გავაძვრე ტყავიო. საბრალო ამირეჯიბი. ის როგორც აკაკის მურია:

«ვინც გადუგდებს ლუკმა პურს
მისი შინაურია».

⁂

ჩვენი წერილის წინააღმდეგ გამოილაშქრა აგრეთვე ბ. მაღლაკელიძემ «ქართლოსი»ში. არსებითად არც მას უთქვამს რამე. ის მხოლოდ სარგებლობს შემთხვევით სთქვას:—კარგი კომისარი ვიყავი. ჰკვიანურ განკარგულებებსაც ვახდენდი, მარა მთავრობა ხელს მიშლიდაო. ამ ზღაპარს მისი ახლად გამოჩეკილი მონარქისტებიც არ დაიჯერებენ მგონი. რაც შეეხება მის მტკიცებას თითქოს მე გენ. კვინიტაძეს ბრალი დავდე პირად პანიკიორობაში—ეს, რასაკვირველია, სიმართლეს მოკლებულია. მე ვსწერდი საერთო პანიკიორობაზე და არა გენ. კვინიტაძის პირად პანიკიორობაზე. ის რომ პირადათ პანიკიორი არ არის, ეს მე მაღლაკელიძეზე ადრე ვიცოდი. მისი შენიშვნა ფოილოს ფრონტის შესახებ სწორია, მარა ეს იყო უბრალო შეცდომა და კიდევაც გასწორდა შემდეგ ნომერში (70) რომელიც მას ალბათ არ წაუკითხავს...

გრ. ურატაძე.

ჩეხოსლოვაკიის ს.-დ. პარტიის ყრილობა

მაისის შუა რიცხვებში პრაღაში შესდგა ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. მუშ. პარ. მე-18 მორიგი ყრილობა. უდიდესი მუშათა პარტია რესპუბლიკაში და თან უძველესი ყველა არსებულ პარტიებზე იდღესასწაულებს მომავალ წელს 60 წლის იუბილეს დღიდგან დაარსებისა, რის ჩასატარებლად უკვე დაწყებულია სათანადო მზადება და თადარიგი.

ეხლახან დათავებული ყრილობა კი, როგორც მორიგი, იყო მხოლოდ საქმიანი, დამფასებელი საანგარიშო ხნის (1933 1937) განმავლობაში ჩატარებული მუშაობის, გამთვალისწინებელი და გამომმუშავებელი უახლოეს წლებისთვის სათანადო მოქმედების ხაზის.

ყრილობაზე დამსწრე დელეგატებს გადამწყვეტი ხმით წინდაწინ დაუგზავნა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატმა დაბეჭდილი 400 გვ. წიგნი, რომელიც შეიცავს ანგარიშს პარტიის საქმიანობის ოთხი საანგარიშო წლის განმავლობაში. ამ წიგნაკში მოხსენებულია მუშაობა პარტიის სეკრეტარიატის, პრეზიდიუმის, ცენტრ. აღმ. კომიტ.. პარტიის ყველა შემადგენელი ნაწილების, პრესის, ორგანიზაციების ზრდის და გამრავლების აურაცხელი დიაგრამებით და სტატისტიკური ცნობებით, მუშაობა საკანონმდებლო დაწესებულებებში და მთავრობაში (პარტიას ყავს 3 მინისტრი), თვითმართველობებში, თემებში, ს. ინტერნაციონალში და სხ.

იქ ვეცნობით სურათს თუ რა დიდი და ძნელი ბრძოლები გადაუხდია პარტიას განვლილ წლებში. რომელნიც იყო სავსე აუარებელი შინაური და გარეშე პოლიტიკური პრობლემებით. მან არა თუ შეინარჩუნა ძველი პოზიციები იმ დროს როცა «მარქსიზმს» ებრძოდენ ყოველი მხრიდან, არამედ კიდევ უფრო გაამაგრა ის და მისი ინიციატივით გაყვანილ იქმნა კანონმდებლობით მთელი რიგი ეკონომიური საკითხები ყველა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თავისუფლებების დაცვით მცხოვრებლების ყველა ნაწილისათვის.

ყრილობა იხსნება 15 მაისს პრაღის ერთ უდიდეს სახლის ზალაში, რომლის მშვენივრად მოწყობილ ტრიბუნაზე მოსჩანს სახელმწიფო და წითელი ბაირაღები, მასარიკის და ბენეშის ბიუსტების შუაში მარქსის ბიუსტი, სრულდება სახელმწიფო ჰიმნი ინტერნაციონალით და მუშათა პარლამენტი იწყებს მოსმენას, ზოგიერთი ფორმალური აქტების შესრულების შემდეგ, მოხსენებას პარტიის თავმჯდომარის, ამხ. ჰამპლის, რომელიც არჩეულ იქნა ყრილობის თავმჯდომარეთაც. ყრილობას ესწრება 700 დელეგატი, ათასზე მეტი სტუმარი—პარტიის წევრები სხვადასხვა ადგილებიდან—და მრავალრიცხოვანი დელეგატები სოც. ინტერნაციონალის სექციებიდან.

უნდა ითქვას რომ ჩეხოსლოვაკიის ს. დ. პარტ-ში არსებობს სრული მთლიანობა და თანხმობა ყოველნაირ საკითხებში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია რომ მოხსენებები პარტიის თავმჯდომარის, გენ.მდივნის, სამივე მინისტრის და სხვადასხვა ფუნქციონერების იქნა მოსმენილი წყნარ და ღირსეულ ატმოსფერაში, არავითარ აღელვებულ შეკამათებას ადგილი არ ქონია. ყველა წარდგენილი რეზოლიუციები მიღებულ იქნა ერთხმათ. მოწონებულ იქნა აღმასრულებელი ორგანოების მოქმედება და ყველანი ნდობის გამოცხადებით ხელახლა არჩეულ იქნენ. ყრილობამ განსაკუთრებული თანხმობით. მოიწონა საგარეო პოლიტიკაში პარტიის ხაზი. თანამშრომლობა და მეგობრობა მშვიდობიანობის დაცვის საქმეში საფრანგეთთან, პატარა ანტანტასთან და საბჭოთა კავშირთან. ყრილობამ გადაჭრით უარყო ყოველნაირი არადემოკრატიული იდეოლოგია როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით. ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თავის უარყოფითი დამოკიდებულებას ე. წ. საერთო ფრონტთან, ასე ხშირათ რომ აწვდის პარტიას კომუნისტები, არავითარი საერთო ფრონტი, მტკიცედ დგომა იმფრონტზე, რომელსაც დიდი დემოკრატიული და პროგრეს. ფრონტი ეწოდება.

სოც.-დემ. პარტია ჩეხიაში არის დღეს მეორე პარტია ძალაუფლების სფეროში. მას ყავს 41 დეპუტატი პარლ-ში, ხოლო წევრთა რიცხვი 1936 წ. ბოლოს ასულა მეოთხედ მილიონამდის.

ყრილობას დაესწრო ბლომათ უცხო სექციების წარმომადგენელნი: თამჯდომარე სოც. ინტერნაციონალის დებრუკერი, წარმომადგენელი ბელგიის, ინგლისის, დანიის, შვეციის, ჰოლანდიის, რუმინიის, იუგოსლავიის, ვენგრიის და სხ.

თავისუფალი ქვეყნებიდან, ლეგალური პარტიის წარმომადგენლები მიიღო ხანგრძლივ აუდენციაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედვარდ ბენეშმა.

ყრილობას დაესწრნენ აგრეთვე ოტო ბაუერი და ველსი, რომლებიც არავითარი სიტყვით და მილოცვით არ გამოსულან ყრილობაზე. ყრილობაზე დაპატიჟებული იყო აგრეთვე ჩვენი პარტიის წარმომადგენელი ამხ. ე. ლომთათიძე, რომელმაც წერილობითი მილოცვა გადასცა ყრილობის პრეზიდიუმს, რაც აღნიშნა გაზეთ «პრავო ლიდუ» უცხო პარტიების მილოცვებთან ერთად.

ემ. ლომთათიძე.

◆ ◆ ◆

«ბრძ. ხმ.» შემდეგი № გამოვა ოქტომბერში.

მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ევროპის და ამერიკის ქვეყნებში

მერვე წელიწადია, რაც მსოფლიოში, და განსაკუთრებით სამრეწველო ქვეყნებში, უდიდესი ეკონომიური კრიზისია. დაზარალდენ საზოგადოების ყველა კლასები და მათ შორის ძალიან დაზარალდა მშრომელი ხალხიც: იმატა უმუშევრობამ, შემცირდა საზოგადოებრივი ღონისძიებანი საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ზოგან სამუშაო ხელფასიც დაეცა. მართალია, ამ უკანასკნელ დროს ეკონომიურ ცხოვრებას ამ დაზარალებულ ქვეყნებში გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ იგი შორს არის იმ უმაღლეს წერტილიდან (1929 წ.), საიდანაც დაღმა დაეშვა.

საინტერესო უნდა იყოს ცოდნა იმის, თუ რას წარმოადგენს ახლა, ამ პირობებში. მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ევროპის და ამერიკის ქვეყნებში?

ამის მასალებს ჩვენ ვპოულობთ, სხვათა შორის, «შრომის საერთაშორისო ბიუროს» მიერ გამოცემულ წიგნში «Annuaire des statistiques du travail 1935—36. Première année» (შრომის სტატისტიკა 1935—36 წ.წ. წელიწადი პირველი). ეს წიგნი დიდ მასალას იძლევა ყველასთვის, ვისაც შრომის და მშრომელთა მდგომარეობის საკითხები აინტერესებს. წინათ ასეთი მასალა მრავალ სხვადასხვა გამოცემაში იყო გაბნეული, არსებობდა კერძო ქვეყნების გამოცემანიც, ხოლო ისინი უმთავრესად ერთი ქვეყნის სტატისტიკით იყვენ შემოფარგლული; «ბიუროს» ამ ახალ გამოცემაში კი მრავალი ქვეყნის მასალაა ერთად თავმოყრილი; აქ შეიძლება მუშათა ნივთიერ მდგომარეობის საერთო სურათის მიღება და ერთი ქვეყნის მეორესთან შედარება. თუ სახეში მივიღებთ ამასთანავე «შრომის საერთაშორისო ბიუროს» ავტორიტეტს ასეთ საკითხებში, ადვილი წარმოსადგენია ღირსება ამ წიგნის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის სტატისტიკას, ბოლშევიკები რომ შინ და გარედ მოსახმარათ თვითონ ათასობით და ასიათასობით სცემენ, «ბიუროს» გამოცემაში თითქმის არავითარი ადგილი უჭირავს; საინტერესო კი იქნებოდა მუშათა მდგომარეობის შედარება «მუშათა და გლეხთა» სახელმწიფოში «კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ» ქვეყნების მუშათა მდგომარეობასთან. ხოლო იმიდან რაც ვიცით, რასაც უცხოელი მგზავრები და ჟურნალისტები ტყობილობენ საბჭოთა კავშირში და რასაც ზოგჯერ თვით ბოლშევიკების ცნობებიდანაც ვამჩნევთ, სჩანს, თუ რამდენათ მძიმე არის მუშის ნივთიერი მდგომარეობა იქ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ამნაირად, ჩვენ გავაცნობთ მკითხველს აღნიშნულ წიგნში მოთავსებულ მასალების მიხედვით მუშათა ნივთიერ მდგომარეობას ევროპის და ამერიკის დიდ და პატარა ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის გარედ. ეს მასალები შეეხება 1935 წლის მიწურულს და 1936 წლის დამდეგს; მას შემდეგ მდგომარეობა ძალიან ნაკლებ თუ სადმე შეიცვალა. გამონაკლისს წარმოადგენს საფრანგეთი, სადაც 1936 წლის მეორე ნახევრიდან, საპარლამენტო არჩევნებში ეგრედ წოდებულ «სახალხო ფრონტის» გამარჯვების და მემარცხენე მთავრობის შედგენის შემდეგ (სოციალისტები და რადიკალები), სოციალისტურ კანონმდებლობაში დიდი ცვლილებები მოხდა მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: ხელფასის მომატება, კვირაში 40 საათის სამუშაო დროის დაწესება, მუშის ორი კვირით წელიწადში ჯამაგირის შენახვით დასვენება, კოლექტიურ ხელშეკრულების დაწესება და სხვ. ეს პროცესი ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა; ამიტომ საფრანგეთის შესახებ შეიძლება ცალკე და სხვა დროს იქნეს ლაპარაკი.

ჩვენ არ გვინდა ეს წერილი ძალიან დავამძიმოთ; ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ სანიმუშოთ ზოგიერთ ქვეყნებს და, რადგან მუშათა ნივთიერ მდგომარეობაზე და საერთოდ სოციალურ კანონმდებლობაზე უსათუოდ აქვს გავლენა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, მოყვანილ ცნობებს ჩვენ დავყოფთ შემდეგ ჯგუფებათ:

1. დიდი და პატარა ქვეყნები, სადაც დემოკრატიული რეჟიმი არსებობს (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, შვეიცარია, შვეცია);

2. ქვეყნები, სადაც დემოკრატიული წყობილება არ არსებობს (გერმანია, იტალია);

3. ახალი პატარა სახელმწიფონი (ესტონია, ლატვია, ჩეხოსლოვაკია).

მუშათა ნივთიერ მდგომარეობის დასახასიათებლად ჩვენ ვიღებთ შემდეგ უმთავრეს პირობებს: ა) სამუშაო დროის რაოდენობა; ბ) ხელფასი ანუ სამუშაო ქირა; გ) ამ ხელფასის რეალური ღირებულება ანუ პირველ მოთხოვნილების საქონლის ფასები; დ) კვება მუშის ოჯახის და ე) მუშის ოჯახის საერთო ბიუჯეტი.

⁂

ამერიკის შეერთებული შტატები. დავიწყოთ უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყნით, ამერიკის შეერ. შტატებით. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ამ ყოვლმხრივ მდიდარ ქვეყანაში საშინელმა ეკონომიურმა კრიზისმა იჩინა თავი: გაკოტრდა ბანკები, დაიხურა სამრეწველო დაწესებულებანი, სოფლის მეურნეობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, დიდი უმუშევრობა გამეფდა. მოსალოდნელი იყო, რომ მთელი ეს უბედურება უმთავრესად და ხანგრძლივად მშრომელ ხალხს თავს დაატყდებოდა; მაგრამ მიღებულმა გაბედულმა ზომებმა იხსნა მდგომარეობა: ათეულ მილიონ უმუშევრად დარჩენილ ხალხის ნივთიერი დახმარება სახელმწიფომ იკისრა, ალაგმული იქმნა სპეკულიაცია, მრეწველებს და სოფლის მეურნეებს ფართო კრედიტი მიეცა, გადასახადები ძალოვნად სწვდა შეძლებულ კლასებს და სხვ. არავითარ საგანგებო ზომისთვის მუშის მდგომარეობას რომ გააუარესებდა არ მიუმართავთ არც პოლიტიკურათ, არც ნივთიერათ; შეერთ. შტატების მუშა დღესაც უკეთესად არის უზრუნველყოფილი, ვინემ მრავალ სხვა ქვეყანაში, და არც სამუშაო დღის გახანგრძლივებით, არც რეალურ ხელფასის შემოკლებით, არც იძულებითი სამუშაოებით და არც პოლიტიკურ თავისუფლებათა მოსპობით იგი არ შეუვიწროებიათ.

ა) მუშა ამერიკის შეერთ. შტატებში მუშაობს უმეტეს ნაწილად 40 საათს კვირაში, ხოლო არიან ისეთი ადგილები და წარმოებანი, სადაც ნაკლებსაც

ხელი! თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს, მტერს ვინ უწინააღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყურებს, ერთმანერთის მტერს ვეღარც მამული გვიმსახურებს». ბატონს ეს სახარება არ ეყურება და გაჯავრებული უპასუხებს: «შენ ვინ ხარ, ვისი ტაკი-მასხარა!» გლეხი პატრიოტია, მემამულე კი თავის პირად ბატონობას ეთაყვანება. მაგრამ აკაკის მაინც სწამს სიმართლის გამარჯვება და ამხნევებს მუშებს. «მუშებო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს ოფლით ნაბანი, მიწაა თქვენი ლოგინი და ლაჟვარდიცა—საბანი. უდროოდ გცივათ და გცხელდებათ, ბევრჯერ რჩებით მშიერი, მაგრამ ყველაფერს აიტანს თქვენი ბუნება ძლიერი. მიმხვდარი არის ეგ თქვენი შეუბღალავი გონება, რომ პირუტყვსავით არ შვენის მშრომელ კაცს სხვისი მონება... იმ უკვდავების წყაროთი რომელსაც ქვიან იმედი და რომლის მოლოდინში კაცს ვერ ერევა შავბედი. ნუ გამოილევთ მაგ იმედს...» ის უგალობს გლეხის ოჯახს, მის პირუტყვს, მის აკვანს, მის დედას და მამას (ჩემი თხა, მწყემსის სიმღერა, ნანინა და სხ.) მისთვის იდეალია «მუშის ნატვრა»: «თავი მოუკვდეს ზოგიერთს რომ იტაცებენ სხვისასა, საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან, ურცხვად ივსებენ ქისასა... რით დავიბნელო სიხარბით სამიწე წუთის თვალები; ხერხსა. ხელეჩოს, სატეხსა, ნაჯახ ცულს ვენაცვალები; რაც ჩემი ურმის არ არის, სახლში არ შემიტანია, ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის ოფლით არ გამიბანია...» პოეტის საფარველს ქვეშ არის მთელი მშობელი ხალხი; ის იცავს მის მარჯვენას, მის ნაშრომს; მის ზნეობას და პატიოსნებას.

სამაგიეროთ ბასრი მახვილით უმასპინძლდება ყველა დანარჩენ საზოგადოებას, ხელობის და მდგომარეობის განურჩევლათ. ის მიმართავს მდიდარს: «ქვეყანა განწირული გაქვს გასაცემ გასაყიდათა, და მოძმე შენი რად გინდა თუ არ კიბედ და ხიდადა; ფეხითა მათი მსრესელი ასულხარ მაღლა სერზედა და იმ მაღლიდან აფურთხებ შენ წინ ქედ-მოხრილ ერზედა...» მაგრამ მას სწამს რომ ამათ თავხედობას ბოლოს მოუღებს თვით გამოღვიძებული ხალხი: «ჭეშმარიტება ჩაგრულ ერს გამოუგზავნის მოციქულს, ის თვალს აუხელს მძინარეს და დაანახვებს მაგ შენ გულს. მაშინ იქუხებს, იელვებს ხალხთ ძალი მიძინებული და მეხს დაგატეხს კერპ თავზე, წარსულზე შენანებული, გაგარონიებს ქვესკნელსა, გინდ მაღლა იყო ცათამდე და შეაჩვენებს შენს სახელს უკუნით უკუნისამდე». ამ ლექსით ის გამოდის 1882 წ. ხალხთა რევოლიუციის მოციქული. ცხადია, აკაკი მშრომელთ აღარ უყურებდა მხოლოდ როგორც საგანს მფარველობის და თანაგრძნობის, არამედ ამას თანავე როგორც იმ ბერკეტს, რომელსაც შეუძლია ქვეყნის გადაბრუნება. ეს იყო სრული გაწყვეტა კავშირის ნაროდნიკულ-ინტელიგენტურ იდეოლოგიასან და ხალხის დასახვა გამანთავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძალათ. ამ გზის დანახვა აკაკიმ ასე ადრე შესძლო იმიტომ, რომ ის იყო მუდამ დამოუკიდებელი ძლიერთა ამა სოფლისაგან და დაახლოვებული ხალხის გულის ცემასან. «დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას, ქარიშხალმაც გვბეროს ველით, ზამთარი ვერ შეგვაშინებს, თუ გაზაფხულს კი მოველით». დიდებულათ ნათქვამია; გაჭირებამ, წაფორხილებამ, სხვადასხვა ჭირ ვარამმა ვერ უნდა შეაშინოს მებრძოლი, თუ კი ის დარწმუნებულია გამარჯვებაში, თუ მას სწამს გაზაფხულის მოახლოვება. ვინ არის ეს მებრძოლი, ხალხის გამომღვიძებელი ინტელიგენცია? არა, «ბევრი ვნახე ჩამოსული, ჩვენსში ბრძოლა განეზრახა, მაგრამ გადუბრუნდა გული სასაცილოთ, ხა, ხა, ხა; მოიშალა რა ფაფხური, ცხოვრებით რა შეილახა, მტერს დაუწყო სამსახური და შესცინის ხა, ხა, ხა! ადრე დასცინოდა ტუზებს, დღეს თვით დაუღია ხახა...» არიან კიდევ ისეთები, რომელნიც არც იქითაა, არც აქეთ და კიდევაც ამაყობენ: «აქეთაც ვარ, იქითაც, მიყვარს შუა მე ტრიალი, მაგრამ არსად კი არა ვარ, ჩემთვის ვარ ნეიტრალი... ამბობენ რომ საზოგადო საქმე არის ყველას ვალი. მაგრამ მე ჯერ ვალს არ ვიხდი, სანამდის ვარ ნეიტრალი...» ის ვერ ხედავს პირველ პიონერთ, მაგრამ მაინც არ ვარდება გაბატონებულ წრეების გავლენის ქვეშ. პირიქით ამათ ებრძვის სამკვდრო სასიცოცხლოთ (ნადირობა, ვირი და ფილოსოფოსი, ყეენობა და სხ.). ნიშანში ამოღებული ყავს მოხელენი და ცენზურაც (სულო ბოროტო, აპელაციის მცოდნე, იუდა და სხ.). საერთოთ, «მელა მექათმეთ დამდგარა, მწყემსობას ჩემობს მგელიო, ეშმაკი ეშმაკს პატიჟებს სასუფეველში გელიო». ის დასცინის მთელ წყობილებას, საზოგადოების მთელ ურთიერთობას გულისტკივილით და თან ამბობს: «რა იციან რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ უფრო მწარეა».

პოეტი სანთლით ეძებს ხალხის გამომაღვიძებელ ამბებს. ალექსანდრე პირველი მოკლეს; ის ფიქრობს ამით იწყება გაზაფხული და მას ესალმება: «დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმოსძახა: «გაზაფხული, გაზაფხული», გულს იმედი ჩამესახა... სუნი მეცა გაზაფხულის უცნაური ვიგრძენ ძალი, ვსთქვი, თუ: გულსა რაღად ვიტეხ? ახლო არის მომავალი...» პოეტის ნატვრა არ გამართლდა, წყვდიადი კიდევ უფრო შესქელდა. ის მაინც გულს არ იტეხს, იცდის, უცდის და განაგრძობს ბოროტებასან ბრძოლას. და აი ნატვრა სრულდება. პირველ რევოლიუციას აღფრთოვანებით ეგებება: «ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა, მეც მომეფინა, მოხუცს, ნუგეში. გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა, რომ მოიპოვოს თავისუფლება, სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის და აასრულოს საერთო ნება... მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა რომ წაილეკოს უსამართლობა და დაემკვიდროს ამიერიდან შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა...» რასაკვირველია მიზანი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, მტერი არ არის დამარცხებული, მაგრამ «ეს არის მხოლოდ პირველი ბიჯი და თან მოყვება მას სიარული, შვილების პირველ ფეხის ადგმაზე, მისი მშობელი არს მხიარული... ბედმა გვარგუნა ჩვენ ხვნა და თესვა, რაც კი მოითხოვს ხანდახან გასვრას! თქვენ მომკლეები ხართ! ხელს თუ გაიჭრით, ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღვრას...» ეს იყო ძალის წამოყენება პირველ ალაგას, როგორც საშუალება რევოლიუციისა. და რომ ეს ნათელი ყოფილიყო ამავე ლექს იმავე კვირაში მიაყოლა თავისი ცნობილი ხანჯალი: «გლესავ და გლესავ, მახვილო, ამოგიფერავ გულსაო, შენ უნდა ემო და ეუმო უმართლოთ დაჩაგრულსაო... მიმოციქულე მტრის გულთან, მიუძღვენ ჩემი სალამი ის ვითომ საწერელია, ჩაარჭვე, როგორც კალამი...» აკაკი სავსებით გაყვა რევოლიუციას მის დამცველთ და მებაირაღეთ. მან შესძახა «ინტერნაციონალში»: «აღსდეგ. ყოველი მხრის მუშავ, გაიღვიძე პროლეტარო, ჩვენვე უნდა მოუპოვოთ ჩვენ თავს აწი დრო სანეტარო...» ან და «ძირს მთავრობავ უსამართლო, ვეღარ ვიტანთ გასაჭირსა, ყოველი მხრით გვძახიან: ძირს, მთავრობავ, აწკი ძირსო... ხალხი იბრძვის, ხალხი ღელავს, ვეღარ ასდებ აწ ალვირსო, ყოველი მხრით გვძახიან: ძირს. მთავრობავ, ძირს და ძირსო»... რევოლიუციის დამარცხებას მისთვის სრულიად არ შეუცვლია ხაზი, არ შეუნელებია ბრძოლა, არ მოუდუნებია კალამი. ის ისევ ბასრი და ენამჭევრი რჩება ბოლომდე, სიკვდილამდე. ის განაგრძობს თავსდასხმას მედროვე მოღვაწეებზე: «დედას სნეულს და ავათმყოფს ერიდები, აშორებ თვალს, მოწიწებით თაყვანსა სცემთ გადამთიელ დედინაცვალს... თეთრი კბილი, შავი გული აი შენი პოლიტიკა, საქმით მგელო, ხაშმით გველო, კუდამელის კუდისრიკა. მოდის ის დრო, რომ დაგმობენ შენისანა ფარისევლებს, შეგეცვლება ლხინი ჭირათ და მოიმკი კვნესით ცრემლებს...» ეს დრო კიდევაც დადგა რამდენიმე წლის შემდეგ...

პოეტის აქ მოკლეთ მოყვანილი სოციალური და პოლიტიკური ჰანგები წარმოადგენენ ბასრ კრიტიკას ყველა უფროს-უნცროსობაზე აგებული საზოგადოების, როგორც მისი დროის, ისე დღევანდელის და მომავალის. თითქმის ყველა მისი თავსდასხმა არის იმავე დროს თავსდასხმა დღევანდელ ბოლშევიკურ ბატონობაზე და მის მიერ დამყარებულ ადამიანთა ურთიერთობაზე. აკაკის ბრძოლა არის მუდმივი, სანამ საზოგადოება იქნება აგებული შრომის და მშრომელთა ჩაგვრაზე. მთელი ეს ჰანგები გამოწვეულია პოეტის ნაციონალური მოსაზრებიდან. მისი იდეალია მთლიანი ქართველობა გარეშე მტერის—რუსეთის—წინააღმდეგ, ხოლო ამავე დროს დარწმუნებულია რომ ეს სანატრელი ერთი ფრონტი შეუძლებელია ხალხის ყვლეფის და დაბეჩავების ნიადაგზე. ხალხის განთავისუფლება ერთათ ერთი გზაა ნაციონალური განთავისუფლებისა. ილიას და აკაკის შეხედულება ამ სფეროში სავსებით ერთი და იგივეა, ორივეს მუზა ერთხმიანათ ამას ჟღერენ. ორივეს პოეზია ოპტიმისტურია. იმ დროს როდესაც თითქოს ყველაფერი დავარდნილი, დაცემული, უძრავათ გდებული იყო. აკაკი მაინც გულს არ იტეხდა და სწერდა: «არ მომკვდარა!—მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს...» (1880 წ.). მას სჯეროდა მუდამ საქართველოს აღდგომა, მისი ნაციონალური აღორძინება, ერთი პირობით: «მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის იყოს წყეული, ის იყოს კრული, ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული». ამ აზრს ის არ ეშვება, ხშირათ იმეორებს და ამით კიდევაც ამაყობს დიდი რეაქციის დროსაც: «არაფრად მიჩანს ქვეყნის დიდება, კუჭს არ ვაღმერთებ, თაყვანს ვსცემ გულსა და ვუგალობ მე თანასწორობას, ძმობას, ერთობას და სიყვარულსა» (1908 წ.)

პოეტი მოქალაქე, პოეტი მებრძოლი, მამაცი, უშიშარი და შეუდრკელი—აი ვინ არის ჩვენი დიდი მგოსანი, ჩვენი აკაკი.

ეს დიდი ტემპერამენტის, ძლიერი ნებისყოფის მგოსანი არის იმავე დროს დიდი გრძნობების, ძლიერი სულის პატრონი. მისი ლირიკული ლექსები გადმოგვცემენ ერთ და იმავე დროს ავტორის და ხალხის გულის ინტიმურ სიმებს, ადამიანში ღრმათ დამარხულ გრძნობათა თაიგულებს. ის უკრავს ამ ჩონგურზე და ამღერებს მთელ ქართველობას. ამ ნიადაგზე აკაკიმ მოახდინა სასწაულება; მისი ლირიკა აერთებს ყველა ქართველს, მდგომარეობის და შეძლების მიუხედავათ, ყველა ერთნაირი სიამოვნებით მას მღერის, ყველას გული მის გაგონებაზე ერთხმიანათ სცემს. ქართველი ერის მუსიკალური მთლიანობა აკაკის შემოქმედებაა. რომელი ქართველი არ სტკბება მისი საიდუმლო ბარათით. თავო ჩემო, აღმართ-აღმართ მივდიოდით და მრავალი სხ. პოეტი ჩაწვდა ადამიანის სულის სიღრმეს და იქიდან ამოალაგა დამალული ხმები. მისი პოეზია უკვდავია ხალხთან ერთათ. ის ხალხშია, ხალხი მასშია.

აკაკი უეჭველი მესაიდუმლეა ქართველი ხალხის გრძნობების და ფიქრების. ის მისი შეუდრკელი, შეუშინებელი წინამძღოლია ჭირში და ლხინში. ის მას არასოდეს მარტოთ არ ტოვებს, ყველა გასაჭირში ის მას თარით ევლინება და მძიმე უღელს უმსუბუქებს. ის მუდამ ახარებს მის გულს, უნერგავს იმედს, ჩანგით ხელში თავს დასტრიალებს.

ორივე პოეტი, აკაკი და ილია, მუზამ ტყუპათ გახადა; ერთი გზით მიმავალნი, ერთი დროშით მომღერალნი, სიმების დაწყობით განსხვავებულნი, გამარჯვებულნი გამოდიან. მათი იდეალი სავსებით ასრულდა, ქართველი ერი გამთელდა ხალხის ნიადაგზე და მან მაშინვე ნაციონალური თავისუფლება გამოაცხადა. ამ დიდ აღდგომას ისინი ვერ მოესწრენ, მაგრამ მათი სული, მათი ანდერძი უკვდავია...

ნ. ყ.

მუშაობენ, მაგალითად: ქვის მთლელნი ს.-ფრანცისკოში—30 საათს, ელექტრონის მონტიორები ნიუიორკში—35 საათს და სხვ.

ბ) მუშის ქირა აქ უდრის საშუალოდ საათში (დოლარებით):

1. სამთომადნო წარმოებაში (ქვანახშირი)		0,79
2. ხე-ტყის	»	0,46
3. სტამბაში	»	0,75
4. ტრამვაიზე	»	0,64.

საშუალოდ ყველა წარმოებებში შეერთ. შტატებში მუშა იღებს საათში 0.58 დოლ.

გ) როგორია ამ ხელფასის მყიდველობითი ძალა ანუ როგორ შეუძლია ამერიკის მუშამ დაიკმაყოფილოს თავისი საშუალო სამუშაო ქირით პირადი და ოჯახის მოთხოვნილებანი? ამას გვიჩვენებს ფასები უმთავრეს პირველ მოთხოვნილების საგნებზე. ეს საგნები ფასობს (კილოგრამი):

1. თეთრი პური	18.3	ცენტი *)
2. კარაქი	74,4	»
3. ხორცი ძროხის I ხარისხის	67,2	»
» » 2 »	51,3	»
4. ხორცი ცხვრის I »	60.9	»
» » 2 »	45,1	»
5. ქართოფილი	3.7	»
6. შაქარი	12,6	»
7. რძე (ლიტრი)	11,9	»
8. კვერცხი (ცალი)	3.6	»
9. ელექტრონი (kwh)	6,0	»

დ) ამ ფასების მიხედვით შეერთ. შტატების მუშა იკვებება ძალიან კარგად; იგი სჭამს ოჯახში ადამიანის სულზე წლის განმავლობაში (კილოგრამს):

1. პურს და ყოველგვარ პურეულს	109.3
2. ხორცს და თევზეულს	107,6
3. ქონს და მარგარინს	5.3
4. რძეს, კარაქს, ყველს, კვერცხს	192.3
5. ქართოფილს, მწვანილს და ხილს	355,8
6. შაქარს	31,3

ცნობილია, თუ რამდენათ ნაკლები შეუძლია დახარჯოს ადამიანმა საჭმელ-სასმელზე საერთოდ, იმდენათ იგი მეტს პურსა სჭამს, რათა მან ამ უიაფეს, მაგრამ მძიმე საკვებით, კუჭი ამოივსოს; და წინააღმდეგ, რამდენათ მისი შემოსავალი მეტია, იმდენათ იგი უფრო ძვირფასს, ხოლო უფრო მსუბუქსა და ნოყიერ საკვებს ეტანება; ასე, ამერიკის მუშა გაცილებით მეტს რძეს, კარაქს, ყველს და კვერცხს (192 კგრ.) სჭამს, ვინემ პურს (109 კგრ.).

ე) მიუხედავათ საუკეთესოთ კვებისა ამ. შეერთ. შტატების მუშას ეხარჯება ამ საგანზე მისი შემოსავლის მხოლოდ 33.4 პროც.; საერთოდ მისი ოჯახის ბიუჯეტით იხარჯება (პროცენტებში):

1. კვებაზე	33,4
2. ბინაზე	27,8
3. გათბობა-განათებაზე	6,0
4. ჩაცმა-დახურვაზე	12,5
5. რჩება სხვა ხარჯისთვის	20,3

⁂

ინგლისი. ახლა გადმოვიდეთ ევროპაში, ევროპის უდიდეს სამრეწველო ქვეყანაში—ინგლისში. აქ განვითარდა პირველად თანამედროვე მსხვილი მრეწველობა და მშრომელი ხალხის უდიდესი ნაწილი დღეს აქ მრეწველობაში არის ჩაბმული. ინგლისის მუშათა კლასმა ფართეთ ისარგებლა ის პოლიტიკური თავისუფლება, მას რომ თავის ქვეყნის დემოკრატიული რეჟიმი ანიჭებს, თავისუფალი სიტყვა და ბეჭდვა მუშათა გათვითცნობიერებას მოახმარა, კავშირების თავისუფლება უძლიერეს სინდიკალურ მოძრაობის განვითარებას, დღეს რომ ინგლისში ყველა დიდ ანგარიშს უწევს. უკიდურესთა რევოლიუციონურ ფრაზებს აქ არავითარი გავლენა არ აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კომუნისტებს მხოლოდ ერთი დეპუტატი ყავთ პარლამენტში; ცხოვრება ისეა დალაგებული, რომ ინგლისელისთვის წარმოუდგენელია არ არსებობდეს ერთგვარი მინიმუმი ადამიანის ადამიანურად ცხოვრებისთვის; ამიტომ მუშათა ეკონომიური მოთხოვნილებანი ხშირად მთელი საზოგადოების სიმპატიას იმსახურებენ. ცხადია, დონე მუშათა ნივთიერ მდგომარეობის ამ დიდ ეკონომიურ კრიზისის ხანაშიც ვერ ჩამოსცილდებოდა იქ საერთოდ კულტურულ ადამიანის არსებობისთვის საჭირო საზღვარს. როგორია ინგლისის მუშის ნივთიერი მდგომარეობა?

ა) ინგლისის მუშის სამუშაო დრო ფაქტიურათ და უმეტეს შემთხვევაში უდრის კვირაში 47 საათს.

ბ) იმის საშუალო სამუშაო ქირა წარმოადგენს კვირაში (შილინგით):

1. საალმშენებლო წარმოებაში	67.5
2. ავეჯის წარმოებაში	69,3
3. სტამბაში	73,10
4. ფურნეში	62,0
5. ტრამვაიზე	61,1
6. გზაზე	51,1.

გ) პირველ მოთხოვნილების საგნები ფასობს (კილოგრამი):

1. თეთრი პური	4,4	პენსი**)
2. კარაქი	32,6	»
3. ხორცი ძროხის I ხარ.	30.9	»
» » 2 ხარ.	13,4	»
4. ხორცი ცხვრის I ხარ.	31,7	»
» » 2 ხარ.	14,6	»
5. ქართოფილი	1,9	»
6. შაქარი	4,9	»
7. რძე (ლიტრი)	6,1	»
8. კვერცხი (ცალი)	1,8	»
9. ელექტრონი (kwh)	3,4	»
10. ნავთი (ლიტრი)	2,2	»

დ) ინგლისის მუშის ოჯახში სჭამენ ადამიანის სულზე წლის განმავლობაში (კილოგრამს):

1. პურს და ყოველგვარ პურეულს	97,3
2. ხორცს და თევზეულს	69,5
3. ქონს და მარგარინს	9,4
4. რძეს, კარაქს, ყველს და კვერცს	134,2
5. ქართოფილს, მწვანილს და ხილს	169,2
6. შაქარს	39,5.

ე) ინგლისის მუშის ოჯახის ბიუჯეტით იხარჯება (პროცენტებში):

1. კვებაზე	47,8
2. ბინაზე	19,5
3. გათბობა-განათებაზე	9,3
4. ჩაცმა-დახურვაზე	9,2
5. რჩება დანარ. ხარჯებისთვის	14,2

⁂

ავიღოთ ახლა სანიმუშოდ ევროპის პატარა ქვეყნები, რომელთაც არც შეერთებულ შტატების და არც ინგლისის სიძლიერე არ აქვთ, ხოლო იმით გვანან იმ ორ დიდ ქვეყანას, რომ აქაც მრეწველობა არის განვითარებული და აქაც მართვა-გამგეობა დემოკრატიულ საფუძველზე დგას მაგრათ.

შვეიცარია. უპირველეს ყოვლისა ავიღოთ პატარა შვეიცარია, რომელსაც მრეწველობისთვის საჭირო თითქმის არავითარი ნედლი მასალა არ მოეპოვება: არც ქვანახშირი, არც ნავთი, არც რკინა ან სხვა რაიმე ლითონის მადანი; საკუთარი პურიც კი არ ყოფნის მოსახლეობას და იგი წელიწადში 250 დღის განმავლობაში უცხოეთიდან შემოტანილი პურით იკვებება. ცხადია, თუმცა მრეწველობა აქ ძალიან განვითარებულია, წარმოება ძალიან ძვირად უნდა ჯდებოდეს.

როგორ ნივთიერ პირობებში იმყოფება შვეიცარიის მუშათა კლასი?

ა) ნორმალური სამუშაო დრო შვეიცარიაში განისაზღვრება კვირაში 48 საათით.

ბ) მუშის ხელფასი უდრის პროფესიის მიხედვით საათში (შვეიც. ფრანკებში):

1. საალმშენებლო წარმოებაში		1,46
2. საათის	»	1,39
3. ქიმიურ	»	1,49
4. საქსოვის	»	1,08
5. ქაღალდის	»	1,32

საშუალოდ ყველა წარმოებებში ერთი-მეორეზე შვეიცარიის მუშა იღებს საათში 1,39 შვ. ფრანკს.

გ) რა მყიდველობითი ძალას წარმოადგენს შვეიცარიის მუშის საშუალო სამუშაო ქირა? პირველ მოთხოვნილების საგნები აქ ფასობს (კილოგრამი):

1. თეთრი პური	0,34	შვ. ფრ.
2. კარაქი	4,77	»
3. ხორცი ძროხის I ხარ.	2,80	»
4. » ცხვრის I ხარ.	3.83	»
5. ქართოფილი	0.16	»
6. შაქარი	0,40	»
7. რძე (ლიტრი)	0,31	»
8. კვერცხი (ცალი)	0,12	»
9. ელექტრონი (kwh)	0,41	»
10. ნავთი (ლიტრი)	0,28	»

⁂

შვედია. მეტად საინტერესოა სახელმწიფოებრივი ცხოვრება სკანდინავიის ქვეყნების—შვეციის და ნორვეგიის და მათი მეზობელ, აგრეთვე პატარა დანიის. ესენი ყველა უმაღლეს კულტურის და უაღრესად დემოკრატიულ რეჟიმის ქვეყნებია, თუმცა ყველა ამ ქვეყნებში მეფენი სხედან ტახტზე; ეს მეფენი «მეფობენ», მაგრამ ქვეყანას «არ განაგებენ»; ქვეყანას განაგებს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობა, რომლის უმრავლესობას ხშირად სოციალისტები შეადგენენ, და ამ სოციალისტების მიერ დაწესებულ კანონს და მოწყობილ ადმინისტრაციას თვით მეფენიც ემორჩილებიან. არც უზომო დემაგოგიას, არც იარაღის ჟღარუნს ამ ქვეყნებში არ აქვს გასავალი: მშვიდობიანი ცხოვრება მეზობლებთან, ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობა მოსახლეობის—აი უმთავრესი საზრუნავი საგანი მმართველობის. ამიტომ მუშის მდგომარეობაც ამ ქვეყნებში, როგორც ეკონომიურათ, ისე პოლიტიკურათ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

ის, რასაც ჩვენ ვიტყვით შვეციის შესახებ, ცოტათ თუ ბევრათ დამახასიათებელია აგრეთვე ნორვეგიისა და დანიისათვის.

ა) ნორმალური სამუშაო დრო შვეციაში განისაზღვრება 48 საათით კვირაში.

ბ) მუშის ხელფასი უდრის საათში (შვედურ კრონით):

1. საალმშენებლო წარმოებაში		1,63
2. ლითონის	»	1,15
3. საქსოვის	»	0,93
4. სტამბაში		1,57
5. რკინის გზაზე (მუშის)		1,53.

საშუალოდ ყველა წარმოებაში ერთი მეორეზე მუშა იღებს შვეციაში საათში 1,24 კრონას.

გ) რა მყიდველობითი ძალას წარმოადგენს მუშის ეს ხელფასი? პირველ მოთხოვნილების საგნები ფასობს (კილოგრამი):

1. თეთრი პური	0,80	კრონა.
2. კარაქი	2,55	»
3. ხორცი ძროხის I ხარ.	2,12	»
4. » ცხვრის »	2,11	»
5. ქართოფილი	0,12	»
6. შაქარი	0,37	»
7. რძე (ლიტრი)	0,23	»
8. კვერცხი (ცალი)	0,13	»
9. ელექტრონი (kwh)	0,30	»
10. ნავთი (ლიტრი)	0,20	»

დ) შვეციის მუშის ოჯახში ადამიანის ხულზე სჭამენ წელიწადში (კილოგრამს):

1. პურს და ყოველგვარ პურეულს	106,5
2. ხორცს და თევზეულს	64,9
3. ქონს და მარგარინს	12,3
4. რძეს, კარაქს, ყველს და კვერცხს	284,1
5. ქართოფილს, მწვანილს და ხილს	160,0
6. შაქარს	37,5.

ე) მუშის ოჯახის საშუალო ბიუჯეტით იხარჯება (პროცენტებში):

1. კვებაზე	35,8
2. ბინაზე	17,8
3. გათფობა-განათებაზე	4,0
4. ჩაცმა-დახურვაზე	13,1
5. რჩება დანარჩენ ხარჯების	29,3.

ასეთია მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობა ამერიკის და ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში; როგორია იგი იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული წესწყობილება აღარ არსებობს, ეგრეთ წოდებულ ტოტალიტარულ ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში და იტალიაში?

⁂

გერმანია. ჯერ კიდევ დიდი ომის წინ გერმანიის სოციალური კანონმდებლობა უფრო პროგრესიული იყო და მუშათა პროფესიონალური და პოლიტიკური მოძრაობა უფრო ძლიერი, ვინემ ევროპის მრავალ სხვა ქვეყანაში. თუმცა დიდმა ომმა, რომელშიდაც გერმანია დამარცხდა, გაღარიბა იგი ეკონომიურათ, დემოკრატიულ რეჟიმის დამყარება მაინც მრავალ პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს ანიჭებდა მშრომელ ხალხს. დღეს მშრომელ ხალხის წარმომადგენლებს არავითარი გავლენა აღარ აქვთ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე, მუშათა კლასს აღარ აქვს არც თავისი პოლიტიკური პარტია, არც თავისუფალი პროფესიონალური კავშირები, მაგრამ ერთხელ მოპოებული ნივთიერი მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრათ მას მაინც შერჩა. გერმანია დიდი სამრეწველო ქვეყანაა, მრავალრიცხოვან პროლეტარიატით; მუშის ფიზიკური დასუსტება მომასწავებელი იქნებოდა ქვეყნის მწარმოებელ ძალთა დასუსტების, იმის დაგლახაკება—ერის გადაგვარების. ამ გარემოებას დღევანდელ გერმანიაშიც ანგარიშს უწევენ. მაშ რა ეკონომიურ პირობებში ცხოვრობს გერმანიის მუშა?

ა) გერმანიაში მუშა მუშაობს დღეში ერთიმეორეზე დაახლოებით რვა საათს (ზოგჯერ ნაკლებსაც).

ბ) გერმანელ მუშის სამუშაო ქირა უდრის საათში (პფენიგს) *):

1. საალმშენებლო წარმოებაში		81.1
2. ხე-ტყის	»	79,3
3. საქსოვის	»	63.6
4. სტამბაში		96,1
5. რკინის გზის მუშის		78.7.

საერთოდ ყველა წარმოებებში ერთი მეორეზე გერმანელი მუშა იღებს საათში სამუშაოდ 78,4 პფენ.

გ) როგორია გერმანელ მუშის ხელფასის მყიდველობითი ძალა? პირველ მოთხოვნილების საგნები ფასობს (კილოგრამი):

1. თეთრი პური	0,71	მარკა.
2. კარაქი	3,10	»
3. ძროხის ხორცი	1,61	»
4. ცხვრის »	2,19	»
5. ქართოფილი	0,08	»
6. შაქარი	0,77	»
7. რძე (ლიტრი)	0,23	»
8. კვერცხი (ცალი)	0,12	»
9. ელექტრონი (kwh)	0,30	»
10. ნავთი (ლიტრი)	0,35	»

დ) ადამიანის სულზე მუშის ოჯახში იჭმება წელიწადში (კილოგრამი):

1. პური და ყოველგვარი პურეული	134,0
2. ხორცი და თევზეული	52,9
3. ქონი და მარგარინი	16,3
4. რძე, კარაქი, ყველი, კვერცხი	174,0
5. ქართოფილი, მწვანილი და ხილი	227,2
6. შაქარი	16,6

ე) მუშის ოჯახის ბიუჯეტი საერთოდ ასე არის განაწილებული (პროცენტებში):

1. კვება	46.3
2. ბინა	14,2
3. გათფობა-განათება	3.7
4. ჩაცმა დახურვა	13 0
5. რჩება სხვა ხარჯებისთვის	22,8.

⁂

იტალია. მრეწველობის მხრივ იტალია წინადაც გერმანიაზე უფრო ჩამორჩენილი იყო და მუშათა მდგომარეობაც აქ უარესი იყო, ვინემ ევროპის და ამერიკის დასახელებულ ქვეყნებში. როგორია მუშათა მდგომარეობა ფაშისტურ იტალიაში?

ა) ნორმალურ სამუშაო დროთ იტალიაში დაწესებულია 40 საათი; თუმცა არიან დარგები და ადგილები (მაგ. ფლორენციაში), სადაც მუშაობენ 50 საათს და მეტსაც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ესენი გამონაკლისს წარმოადგენენ; ფაქტიურათ საშუალო სამუშაო დრო კვირაში უდრის 48 საათს უმეტეს შემთხვევაში (1935 წ.).

ბ) მუშის სამუშაო ქირა უდრის საათში (იტალიანურ ლირებში):

1. სამთო-მადნო წარმოებაში		1,81
2. ხე-ტყის	»	1,68
3. ქიმიურ	»	2,13
4. ქაღალდის	»	1,66

საშუალოდ ყველა წარმოებებში ერთიმეორეზე იტალიის მუშა იღებს საათში 1,87 ლირას.

გ) პირველი მოთხოვნილების საგნები ფასობს (კილოგრამი).

1. თეთრი პური	1,50	ლირა.
2. კარაქი	12,35	»
3. ძროხის ხორცი	8,64	»
4. ცხვრის »	8.63	»
5. ქართოფილი	0,47	»
6. შაქარი	6,36	»
7. რძე (ლიტრი)	0,98	»
8. კვერცხი (ცალი)	0,48	»
9. ელექტრონი (kwh)	1,79	»
10. ნავთი (ლიტრი)	1,95	»

დ) იტალიელი მუშის ოჯახში სჭამენ წელიწადში ადამიანის სულზე (კილოგრამი):

1. პურს და ყოველგვარ პურეულს	243,44
2. ხორცს და თევზეულს	25.87
3. ქონს და მარგარინს	15,32
4. რძეს, კარაქს, ყველს, კვერცხს	43,03
5. ქართოფილს, მწვანილს და ხილს	86,50
6. შაქარს	5.11.

⁂

ესტონია, ლატვია, ჩეხოსლოვაკია. ახლა გავეცნოთ მუშათა ნივთიერ მდგომარეობას ახალგაზრდა სახელმწიფოებში: ესტონიაში, ლატვიაში, ჩეხოსლოვაკიაში. ორი პირველი გამოეყო ყოფილ რუსეთის იმპერიას, უკანასკნელი—ავსტრო-ჰუნგრეთისას; ჩეხოსლოვაკია გაცილებით უფრო დიდია ესტონიაზე და ლატვიაზე (ეს უკანასკნელნი საქართველოზე უფრო პატარა ქვეყნებია, როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით), ხოლო საერთო მათ შორის ის არის, რომ სამთავემ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, შექმნეს ახალი ეროვნული სახელმწიფოები (დემ. რესპუბლიკები) და მათი განმტკიცებისთვის, ამ ახალ სახელმწიფოების მოსაწყობათ, რასაკვირველია, მათ მეტი შრომა და ხარჯი სჭირდებოდათ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, ვინემ ძველათ, უკვე არსებულ, სახელმწიფოებს.

როგორია მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ამ ქვეყნებში?

ა) ნორმალური სამუშაო დრო უდრის კვირაში: ესტონიაში—48 საათს, ლატვიაში—46 საათს (უმეტეს შემთხვევაში).

ბ) სამუშაო ქირას იღებენ საათში და საშუალოდ ერთი-მეორეზე ყველა წარმოებებში:

ესტონიაში	0,35 ესტ. კრონას
ლატვიაში	0,65 ლატს
ჩეხოსლოვაკიაში	4,34 ჩ. კრონას.

გ) მყიდველობითი ძალა სამუშაო ქირის რას წარმოადგენს? პირველი მოთხოვნილების საგნები ფასობს (კილოგრამი):

	ესტონიაში (ესტ. კრ.)	ლატვიაში (ლატი)	ჩეხოსლ-ში (ჩ. კრ.)
1. თეთრი პური	0,38	0,48	2,35
2. კარაქი	1.30	2,10	19.95
3. ხორცი ძროხის	0,52	0,58	13,60
4. ხორცი ცხვრის	0.55	0,64	11.35
5. ქართოფილი	0.03	0,07	0,80
6. შაქარი	0,46	0,67	6,20
7. რძე (ლიტრი)	0,08	0,17	1,60
8. კვერცხი (ცალი)	0,04	0,10	0,75
9. ელექტრონი (kvh)	0,25	0,36	2,60
10. ნავთი (ლიტრი)	—	0,15	1,80.

დ) მუშის ოჯახში ერთი ადამიანის სულზე იხარჯება ჩეხოსლოვაკიაში (კილოგრამი):

1. პური და ყოველგვარი პურეული	194,65
2. ხორცი და თევზეულობა	43,26
3. ქონი და მარგარინი	17,78
4. რძე, კარაქი, ყველი და კვერცხი	212,82
5. ქართოფილი, მწვანილი, ხილი	118,07
6. შაქარი	34,21

ე) მუშის ოჯახის ბიუჯეტი ნაწილდება ამნაირათ (პროცენტებში):

	ლატვიაში	ჩეხოსლ-ში:
1. კვება	55,0	56,6
2. ბინა	10,0	9,0
3. გათბობა-განათება	5,0	5,7
4. ჩაცმა-დახურვა	15,0	14,4
5. დანარჩენი	15,0	14,3.

⁂

ახლა ზემოთ მოყვანილ ცნობებს, რომ თვალი გადავავლოთ და მუშის ნივთიერი მდგომარეობა ერთ ქვეყანაში მეორე ქვეყნისას შევადაროთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ერთი საათის სამუშაო ქირით მუშას შეუძლია იყიდოს (კილოგრამი):

თეთრი პური: შეერთ. შტატებში—3; შვეციაში—1,5; ჩეხოსლოვაკიაში—1,8; იტალიაში—1,2; გერმანიაში—1,1.

ან კარაქი: შეერთ. შტატებში—0,7; შვეციაში—0,5; ჩეხოსლოვაკიაში—0,2; იტალიაში—0,1; გერმანიაში—0,2.

ან ძროხის ხორცი: შეერთ. შტატებში—1,0; შვეციაში—0,6; ჩეხოსლოვაკიაში—0,3; იტალიაში—0,2; გერმანიაში—0,5.

ან შაქარი: შეერთებ. შტატებში—4,6; შვეციაში—3,3; ჩეხოსლოვაკიაში—0,7; იტალიაში—0,3; გერმანიაში—1,0.

ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ამ ქვეყნებში არსად მუშაობენ 48 საათზე მეტს კვირაში, ხოლო ხშირად ნაკლებსაც.

⁂

დასასრულ საინტერესოა უმუშევართა ნივთიერი მდგომარეობა, რომელთა რიცხვი ყველა ქვეყნებში დიდია და რომელნიც თითქმის ყოველგან, მეტათ თუ ნაკლებათ, დახმარებას იღებენ სახელმწიფოდან. როგორია უმუშევართა მდგომარეობა, როგორ ირჩენენ თავს უმუშევარნი?

ამ შემთხვევაში თავი გავანებოთ ფულადი დახმარების აღრიცხვას და მოვიყვანოთ პირდაპირი ცნობები, თუ როგორ იკვებება უმუშევარის ოჯახი, მაგალითად, ავსტრიაში.

კვება უმუშევარის ოჯახში ავსტრიაში უდრის (1933 წ.) წლიურათ ადამიანის სულზე (კილოგრამი):

1. პური და ყოველგვარი პურეული	136,86
2. ხორცი და თევზეული	39,52
3. ქონი და მარგარინი	18,39
4. რძე, კარაქი, ყველი, კვერცხი	148,46
5. ქართოფილი, მწვანილი, ხილი	71,84
6. შაქარი	20,08.

⁂

ასეთია საერთო სურათი მუშათა ნივთიერ მდგომარეობის ამერიკის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ახლა, ამ ძლიერ ეკონომიურ კრიზისის ხანაში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიურ ცხოვრების გამოცოცხლებასთან ერთად კიდევ უფრო გაუმჯობესდება მუშათა ნივთიერი მდგომარეობა, რადგან თითქმის ყველა ქვეყნებში ძლიერდება სოციალური მოძრაობა; პირველ ადგილზე ამ მოძრაობაში დგანან ძველი და გამოცდილი დემოკრატიის ქვეყნები ევროპის და ამერიკის, სადაც პოლიტიკური დემოკრატია ახლა გზას იკაფავს სოციალურ დემოკრატიისაკენ ზოგჯერ შეიძლება ნელ, ზოგჯერ შეიძლება მტკივნეულ, მაგრამ მუდამ გაბედულ და მტკიცე ნაბიჯით. მართალია, ზოგ ქვეყნებში მოსპეს დემოკრატიული რეჟიმი და ამ გარემოებას ზოგი ძალიან აზვიადებს, ხედავს რა ასეთ მოვლენებში დემოკრატიულ პრინციპების დამარცხებას საზოგადოთ; მაგრამ დაუკვირდით გეოგრაფიულ რუქას და თქვენ დაინახავთ, რომ დემოკრატიული რეჟიმი დამარცხდა იმ ქვეყნებში, სადაც იგი სუსტი იყო და დემოკრატია ახლად გამოსული სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე; ხოლო ღირსშესანიშნავი მაინც ის არის, რომ ამ ქვეყნებშიც მუშის ნივთიერი მდგომარეობა დღეს ის არ არის, რაც ამ 30 წლის წინათ იყო; იგი გაუმჯობესებულია: 8 საათის სამუშაო დღე, იმის მოთხოვნისთვის რომ ერთ დროს სოციალისტებს ქვეყნის მოღალატეებათ აცხადებდენ, ახლა დიქტატურის ქვეყნებშიც შეითვისეს, იგი ფაქტათ იქცა; გაუმჯობესებულია შედარებით მუშათა ნივთიერი მდგომარეობაც და სოციალისტურ დემოკრატიის მიერ ერთხელ წამოყენებულ მოთხოვნილებებს მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ახლა აშკარად ვერსად ვარს ვეღარ ყოფენ...

გ. გ.

---

*) ერთი დოლარი უდრის 100 ცენტს.

**) 12 პენსი შეადგენს ერთ შილინგს; 20 შილინგი ერთ გირვ. სტერლინგს.

*) 100 პფენიგი შეადგენს ერთ მარკას.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville*

Le Gérant : René Toussaint.